F 49 / 1918
ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი პირველი

ტფილისი
1918 წ.
კვირა 15 დეკემბერი.

№ 3.

# რესპუბლიკის ჯარი

**ყოველ-კვირეული ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“**

(სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული სამეცნიერო და სალიტერ. განყოფილებით).

**ამიერიდან გამოდის გადიდებული ფორმატით და განახლებული რედაქციით.**

**ჟურნალი წლის დამლევამდე ეღირება 5 მან., ცალკე ნომერი 1 მ. 50 კ.**

ჟურნალისთვის ყოველგვარი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბარონის (კალოუბნის) ქ. ოფიციალურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — ჟურნალ „რესპუბლიკის ჯარისთვის“. ჟურნალის „რესპუბლიკის ჯარის“ სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, გარდა უქმეებისა, 1—3 საათამდე. ჟურნალის კანტორა ღიაა—10—3 საათამდე.

## შინაარსი:

1) მოწინავე — ჯარი და დემოკრატია.
2) გერმანიის სამხედრო ორგანიზაც. — **ლეიტ. გერკე.**
3) ფელეტონი: საუბარი ჯ.-კაცთან — **ივ. გომართელი.**
4) კვირეული მიმოხილვა (შინ და გარეთ) **ვ. მოძველი.**
5) პატარა წერილები — **იოსავა.**
6) ოფიცერთა საკითხი ჯარში — **ი — ძე.**
7) ჯარი და სახალხო გვარდია — **ჩიქვანაია.**
8) სხვა და სხვა ქვეყნის პოლიტიკური წესწყობილება — **პ. ს ძე.** და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო ჟურნალი
„რესპუბლიკის ჯარი“.
(სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული ლიტერატურულ-სამეცნიერო განყოფილებით)

F/c 11683

# ოფიციალი განყოფილება

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ ი

### რესპუბლიკის მთავრობისა

**სამხედრო უწყების მიმართ.**

8 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 174.

განვიხილე რა 21 ღვინ. 1918 წ. შედგენილი ოქმი სამხედრო კომისიისა, რომელიც დანიშნულია ჩემის ბრძანებით დასაფასებლად ოფიცერთა და სამხედრო უწყების ხარისხოსანთა მიერ დაჭერილის სახაზინო სადგომებისა ყველგან, სადაც კი დაბინავებულნი არიან რესპუბლიკის ჯარები, და გამოსარკვევად გადასახდელის სასადგომო ქირის გამოანგარიშების წესისა და ვეთანხმები რა კომისიის დადგენილებას, ვბრძანებ-დადგენილ იქნას შემდეგი წესი:

1. დაწესდეს ქირა ოფიცრებისა და სამხედრო უწყების საკლასო ხარისხოსანთა მიერ დაჭერილის სახაზინო სადგომებისთვის.

2. ეს ქირა დაეჭიროს ხოლმე ყოველს ოფიცერს და საკლასო ხარისხოსანს, რომელსაც უჭირავს სახაზინო სადგომი, ყოველთვიურად მის ჯამაგირითგან იმ დღითგან, როდესაც ნამდვილად მიეცა სადგომი, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ რაც ახალი ჯამაგირები დაწესდა, ე. ი. 1 მარიამობისთვითგან 1918 წლისა.

3. ყოველმა ჯარის ნაწილმა ოფიცერთა და საკლასო ხარისხოსანთა ჯამაგირების მოთხოვნის დროს მოთხოვნის უწყებებში უნდა შეიტანოს სახაზინო სადგომთათვის დანაჭერთა სვეტი, იმაში აღნიშნოს რაოდენობა დასაჭერის ჯამისა იმათგან, რომელნიც სარგებლობენ სახაზინო სადგომით და ეს ჯამი გამორიცხოს ჯამაგირის საზოგადო ჯამითგან.

4. თავის დროზედ სადგომის ქირის გამოურიცხველობისთვის პასუხის მგებლობა ედება იმ პირებს, რომელნიც სარგებლობენ სახაზინო სადგომებს, ხოლო თუ მათ ვერ შესძლეს გადახდა, მოთხოვნის უწყებათა შემდგენლებს და ხელისმომწერლებს.

5. ქირის გამოანგარიშებისათვის მიღებულ იქნეს საზომს ერთეულად საცხოვრებელის ოთახების იატაკის ერთის კვადრატულის საჟენის საშუალო ქირა, რომელსაც ნამდვილად აძლევს სამხედრო უწყება სახლის პატრონებს კონტრაქტით დაქირავებულს სახლებში.

6. სადგომის ქირის გამოსათვლელად აღნიშნულის ერთეულის ქირა გამრავლებულ იქნას ყოველის სადგომის ოთახების იატაკის კვადრატულის საჟენების რიცხვზე, ამასთან სამზარეულოს და სამოსამსახურო ოთახების იატაკი ნახევარ ფასად იანგარიშებოდეს, ხოლო კორიდორები, სარაიები სარდაფები და სხვა ოჯახისთვის საჭირო შენებულებანი არ იქნან შეტანილნი დაფასებაში.

7. სადგომების იატაკის ერთის კვადრატულის საჟენის საშუალო ქირის ზომის განსაზღვრისათვის მიღებულ იქნან მხედველობაში ცნობები ნამდვილის ქირების შესახებ, რომლებიც ეძლეოდათ სახლის პატრონებს სამხედრო უწყების მიერ დაქირავებულს სახლებში 1914 წელს, რადგან შემდეგს 1915 1918 წლებში სადგომის ქირა ომიანობის გამო არაჩვეულებრივად გადიდდა და ამიტომ იგი არ შეიძლება მიღებულ იქნას ნორმად სადგომების დასაფასებლად რაოდენადმე გრძელის ხნისათვის.

8. ყველა ის დასახლებული ადგილები, სადაც დაბინავებულია რესპუბლიკის ჯარები, სადგომების ფასების მხრით დანაწილდნენ სამს ჯგუფად, რომელთათვისაც დაწესებულ იქნა სამი საშუალო ნორმა იატაკის თითო საჟენზე სადგომის წლიურს ქირად: ა) საცხოვრებელის ბინისთვის 30 მ. 20 მ. და 15 მ. და ბ) სამზარეულობისა და სამოსამსახურო ოთახებისთვის 15 მ. 10 მ. და 7 მ. 50 კ.

9. პირველს ჯგუფში ითვლებოდნენ: ტფილისი, კოჯორი, მანგლისი, სოხუმი, ბორჯომი, და აბასთუმანი, მეორე ჯგუფში: ქუთაისი, გორი, მცხეთა, სურამი, ხაშური, აღბულაღი, ზესტაფონი, ფოთი, ახალ-სენაკი, სამტრედია, ახალციხე, ახალქალაქი და თელავი, და მესამე ჯგუფში: ლაგოდეხი, მუხროვანი, დუშეთი, ოზურგეთი, ზუგდიდი, დედოფლის წყარო, სიღნაღი, გომბორი, ზაქათალა, ანანური, ფასანაური და სტეფან-წმინდა.

10. დანარჩენს ადგილებში სახაზინო სადგომების დაფასება ხდებოდეს მესამე ჯგუფისთვის დაწესებულის ნორმით.

11. სახაზინო სადგომებით სარგებლობისთვის ქირა გამოანგარიშებულ იქნას ხოლმე ზემოდ აღნიშნულის ნორმებით საცხოვრებელის ოთახების, სამზარეულოების და სამოსამსახურო ოთახების იატაკის კვადრატულის საჟენების რიცხვის მიხედვით მოწმობებისამებრ, რომელთაც ჯარის ნაწილები

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღებენ შესაბამის სამხედრო-სასადგომო დისტანციების უფროსებისაგან.

12. აღნიშნულს დაფასებაში არ შედის მებელი, სათბობი და სანათი.

13. ყოველი მდგმური იძენს მებელს, სათბობს და სანათს თავის შეხედულებისამებრ თავის საფასით ისევე როგორც ისინი, რომელთაც არა აქვთ სახაზინო სადგომი

14. სამხედრო-სასადგომო დისტანციების უფროსები მოვალენი არიან მისცენ ხოლმე ცალკე ნაწილების უფროსთ წელიწადში ერთხელ წლის დამდეგისთვის და ამას გარდა ყოველთვის, როდესაც იცვლება მობინავე ნ-წილები, მოწმობები იმ სადგომების რაოდენობის შესახებ (უწყებათა სახით), რომლებიც მოიპოვებიან ნაწილის დაბინავების რაიონში, მათში ყოველის სადგომის საცხოვრებელის და არა საცხოვრებელის ბინის იატაკის პირის სივრცის და მთელის სადგომისთვის წლიურის ქირის ზომის ჩვენებით მე-6 და მე-8 პუნქტებში აღნიშნულის ანგარიშისამებრ მათთან ზედ დართვით სხემატიურის გეგმისა საქირავებელის ოთახების ოდენობითურთ.

15. ესევე ცნობები უნდა გაუგზავნონ სასადგომო დისტანციების უფროსებმა საადმინისტრაციო განყოფილების უფროსს, რომ შესაძლებული იყვეს მოთხოვნის უწყებებში აღნიშნული დასაჭერების შემოწმება.

16. მე-14 და 15 მუხლების აუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობა ედება სარაიონო ინჟენერებს და სამხედრო-სასადგომო დისტანციების უფროსებს.

17. საადმინისტრაციო განყოფილების საბიუჯეტო სექცია მოვალეა შეამოწმოს მოთხოვნათა უწყებაში აღნიშნული სადგომებისთვის დანაჭერები, მათ შედარებით სამხედრო სასადგომო დისტანციების მოწმობებთან, და გაასწოროს უსწორმასწორობანი.

18. საადმინისტრაციო განყოფილების საბიუჯეტო სექცია მოვალეა ყველა დანაჭერები სახაზინო სადგომებისთვის ყოველთვიურად გადარიცხოს ხოლმე ხაზინის შემოსავალში სასადგომო ხარჯთაღრიცხვის § 6 მუხ. 3 კრედიტის აღსადგენად და ეს შეატყობინოს ხოლმე იმავე განყოფილების სასადგომო სექციის უფროსს.

19. ამ წესებს არ ექვემდებარებიან და უსასყიდლოდ სარგებლ· ·ენ სახაზინო ბინებს ის ოფიცრები და საკლასო ჾარისხოსნები, რომელნიც ცალკე ნაწილების უფროსების ბრძანებით სამსახურის სარგებლობისათვის ცხოვრობენ ყაზარმებთან და სარგებლობენ ან რამდენიმე საერთო ბინებით ან თვითეული თითო ოთახით.

სამხედრო მინისტრის მაგიერი.

გენერალ-მაიორი მ დ ი ვ ა ნ ი.

6 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისში.

№ 175

საქართველოს მთავრობამ, მოისმინა რა კანონ-პროექტი ოფიცერთა და მოხელეთა თვიური ჯამაგირების რაოდენობის და მათ შტატების შესახებ, 18 ოქტომბერს 1918 წ. დაადგინა: კანონ-პროექტი მოწონებულ იქმნეს და მიღებულ ერთი მთლიანი თვიური ჯამაგირი:

| | | |
|---|---|---|
| დივიზიის უფროსს . . . . . . . . . | 1450 | მან. |
| ბრიგადის უფროსს . . . . . . . . . | 1300 | „ |
| პოლკის უფროსს . . . . . . . . . | 1150 | „ |
| პოლკის უფროსის თანაშემწეს . . . | 900 | „ |
| ბატალიონის უფროსს . . . . . . . | 850 | „ |
| გუნდის უფროსს . . . . . . . . . | 725 | „ |
| უფროს ოფიცერს . . . . . . . . . | 575 | „ |
| უმცროსს ოფიცერს . . . . . . . . | 500 . | „ |

ვაცხადებ ამას საყურადღებოდ და სახელმძღვანელოდ.

სამხედრო მინისტრი გ ი ო რ გ ა ძ ე.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ ი.

### რესპუბლიკის ჯარების მიმართ

22 ნოემბერი 1918 წ. ქ ტფილისი.

№ 87.

**გამორიცხულია:** გენერალ-მაიორ მაჭავარიანის კომისიიგთან პოლკოვნიკი ჭავჭავაძე, მის დანიშვნის გამო შტაბ-ოფიცრად გენერალ-მაიორ ყარალაშვილთან ამა წლის 20 ნოემბრიდგან.

**ინიშნებიან:** გენერალ-მაიორ მაჭავარიანის კომისიაში საინტენდატო დაწესებულებათა რევიზიის მოსახდენად გენერალ-მაიორი გველესიანი, პოდპოლკოვნიკი ბაბილუა, პოლკოვნიკი მაჭუტაძე, პოდპოლკოვნიკი კერესელიძე, შტაბს-კაპიტანი ერხანი, შტაბს-კაპიტანი ჯორჯაძე, პორუჩიკი დადიანი, პოდპორუჩიკი გამყრელიძე, პირველის ოთხისთვის დღიურ სარგოთ ოცდა ათ ათი მანეთის მიცემით, დანარჩენის ხუთისთვის დღეში ოცდა ხუთ-ხუთი მანეთის მიცემით, ყველანი ამა წლის 20 ნოემბრიდგან.

26 ნოემ. 1918 წ.

№ 88.

ვაცხადებ ცნობად ქართული ლაშქრის წმ. გიორგის სათათბიროს სხდომის დადგენილების ასლს 7 ოქტომბრიდგან 1918 წ.

წმ. გიორგის კავალერთა თათბირმა, რომელიც მოწვეული იყო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანების თანახმად 27-აგვისტოდან № 51-ინფანტერიის გენერალ გაბაშვილის თავმჯდომარეობით და თან დასწრებით: წევრთა გენერალ მაიორებისა: არჯევანიძისა, ჭავჭავაძის და გელოვანისა, პოლკოვნიკ ჭავჭავაძისა, კაპიტნების: გობრონიძის და მახარაძისა, განიხილა რა ყოფილ მე-3 კავკასიის მსროლელ პოლკის კაპიტან ჯაფარიძის წმ. გიორგის ორდენზე წარდგენილობა, დაადგინა: წმ. გიორგის ორდენის სტატუტის მე-8 მუხ. პუნქტ. 6, 11, 12, 13 და 22 ძალით ღირსყოს იგი წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით დაჯილდოვებისა, მისთვის რომ—8 სექტემბერს 1917 წ. ბრძოლაში მტრის მიერ პოზიციის გარღვევის დროს, რის· შემდეგ მტერი გ რ ა ნ ვ ე ნ ს კ ი ს ტყის დაჭერას იმუქრებოდა, რომლის დაკარგვა მთელი მე-184 ქვეითი დივიზიის განადგურებას აუციებლად გამოიწვევდა, კაპიტანმა ჯაფარიძემ, რომელიც უფროსობდა მე-3 კავკასიის მსროლელ პოლკის 1-ლ ბატალიონს, არ დაუცადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ბრძანებას, მთავარი ძალების მიუშველებლად, საკუთარის თაოსნობით, თუმცა აშკარად ხედავდა საშიშროებას, გადავიდა იერიშით გაცილებით მეტ მოწინააღმდეგეზე და მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად გადარეკა მტერი მდინარე სუსსეის გაღმა და შეინარჩუნა პოზიციები მთავარი ძალების მოშველებამდე. ამასთანავე მან წაართვა მტერს:

ორი საველე ზარბაზანი და სამი მომქმედი ტყვიის-საფრქვევი. მე-184 დივიზიის ამას შემდეგ უკან დახევა ბრწყინვალეთ იქმნა შესრულებული მე-3 კავკასიის მსროლელი პოლკის 1-ლ ბატალიონის მოქმედების გამო, რომელსაც თაოსნობდა კაპიტანი ჯაფარიძე და რომელმაც მთელი ბრძოლის დროს საკვირველი სიმამაცე, თავგანწირულება და უნარი გამოიჩინა.

დედანს ხელს აწერენ: თავმჯდომარე თათბირის ინფანტერიის გენერალი გაბაშვილი, წევრები გენერალ-მაიორები: არჯევანიძე, ჭავჭავაძე გელოვანი, პოლკოვნიკი ჭავჭავაძე, კაპიტნები: გობრონიძე და მახარაძე.

28 ნოემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

**№ 89**

ვაცხადებ ცნობად საქართველოს ლაშქრის წმ. გიორგის თათბირის სხდომის დადგენილების ასლს ამა წლის 2 ოქტომბრიდგან.

წმ. გიორგის კავალერთა თათბირმა, რომელიც მოწვეული იყო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანების თანახმად 27 აგვისტოდან № 51, ინფანტერიის გენერალის გაბაშვილის თავმჯდომარეობით და თანდასწრებით წევრთა გენერლების: ა რჯევანიძის და გელოვანისა, პოლკოვნიკ ჭავჭავაძისა, კაპიტნების: მესხიშვილის, გობრონიძის მახარაძისა, სხდომაზე 2 ოქტომბერს 1918 წ. დაადგინა: თანახმად მე-2 და მე-3 მუხ. § 8 წმ. გიორგის ორდენის სტატუტსა ღირს-იქნას დაჯილდოვებისა წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით მე-155 ყუბინის ყოფილი პოლკის უფროსი ხერხეულიძე, იმიტომ რომ 1-ლ იანვარს 1916 წ. როდესაც უფროსობდა აღნიშნულს პოლკს, რომელიც მოქმედებდა გენერალ ლასტოჩკინის რაზმში, მიიღო რა დავალება მიეტანა იერიში ძლიერ გამაგრებულ ჯილ-დელის მთაზე, მოახდინა წინასწარი დაზვერვა და მიიტანა მასზე სწრაფი იერიში, მიუხედავათ თურქების მედგარი წინააღმდეგობისა, დაიპყრო ის და მისცა ამით შეძლება თავისუფლად წასულიყო გენერალი ვოროპიოვის გარემომვლელი კოლონა. ჯილ-დელის მთის ალებით მთელი აზებკეის პოზიციის ბედი გადაწყდა, რომლის დაკარგვით თურქებმა დაკარგეს უკანასკნელი საფარი და უკან დაიხიეს არზრუმის ფორტებამდე. პოლკოვნიკმა ხერხეულიძემ მთელი ბრძოლის დროს გამოიჩინა ძლიერი სიმამაცე და უფროსობის უნარი, თოფების ცეცხლის ქვეშ პირადად ხელმძღვანელობდა ბრძოლას, თავისი იქ ყოფნით ამხნევებდა თავის ჯარს. მთელი ამ ბრძოლის განმავლობაში ტყვეთ წამოყვანილი იქმნა ათი ოფიცერი და სამასი ასკერი, წართმეული იქმნა ოთხი საველე და ერთი მძიმე ზარბაზანი და ბევრი სასროლი მასალა.

დედანს ხელს აწერენ: თათბირის თავმჯდომარე ინფანტერიის გენერალი გაბაშვილი, წევრები: გენერალ-მაიორები: არჯევანიძე და გელოვანი, პოლკოვნიკი ჭავჭავაძე, კაპიტნები: მესხიშვილი, გობრონიძე და მახარაძე.

სამხედრო მინისტრის მაგიერ მისი თანაშემწე
გენერალ-მაიორი მ დ ი ვ ა ნ ი.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ ი
## რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ა

სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ

21 ნოემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

**№ 172**

**ცნობა:** ბრძანება რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ ამა წლის 16 აგვისტოდან № 33.

**ინიშნება:** კაპიტანი თუმანიშვილი (მიხეილ) საარტილერიო სექციის უფროსის თანაშემწედ.

**ცნობა:** ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ ამა წლის 29 ივლისიდან № 52

22 ნოემბერი 1918 წ.

**№ 173.**

**დატოვებულია შტატს გარეშე:** სოხუმის ოლქის სამხედრო უფროსი პოლკოვნიკი ნოვიცკი.

**ინიშნება სოხუმის ოლქის სამხედრო უფროსად:** კაპიტანი კუკოლევსკი.

**მიივლინება:** არმიის საარტილერიო ბრიგადაში, ყოფილი ამიერ კავკასიის რუსულ კორპუსის მე-6 მსროლელი პოლკის პოდპორუჩიკი სორიშჩაროვი.

**დათხოვნილია სამსახურიდგან:** საავიაციო სკოლის პრაპორშჩიკი კ უ ნ ი ც ა.

22 ნოემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი

**№ 174.**

**ინიშნებიან საინჟინერო-სატეხნიკო ნაწილში:** სასაპიორო ბატალიონში: ყოფილი ტფილისის კადეტთა კორპუსის პოდპოლკოვნიკი ბოსტაშვილი; კაპიტანები: ლონგინოზ ჩიჯავაძე და მიხეილ მუშკუდიანი; პორუჩიკი ვლადიმერ წერეთელი; პოდპორუჩიკები: ბიქტორ მესტიევი, ვლადიმერ ჟურიანი, ვასილ ნასყიდოვი, ანდრია ვაჩნაძე, ვიქტორი ძაგანია, კონსტანტინე ცაგარეიშვილი, ალექსანდრე ხელაია, სვიმონ ბრეგაძე, და ნიკოლოზ საჩუკი; პრაპორშჩიკები: მიხეილ ჩხეიძე, ლეო ბუდუგოვი ვასილ ბეკლემიშოვი და არსენ ვაჩნაძე.

**სატეხნიკო ბატალიონში:** სათადარიგოთ მყოფი პოპოლკოვნიკი ზილოვი ბორისი; შტაბს-კაპიტანი ალექსანდრე მარინაშვილი, პრაპორშჩიკი გიორგი საგინოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საავტომობილო ასეულში:** პოდპოლკოვნიკები: ნიკოლოზ კარპინსკი და ვასილ ბაკანოვი; შტაბს-კაპიტანი დიმიტრი გედევანიშვილი; შტაბს როტმისტრი ივანე მისენკო; პორუჩიკები: ალექსანდრე სკლიარევსკი, ალექსი ბოგდანოვი და ალექსი ლორთქიფანიძე.

სამხედრო მინისტრი **გიორგაძე**.

26 ნოემბერი 1918 წ. ქალ, ტბილისი.

№ 175

სამხედრო სამინისტროს საკანონმდებლო განყოფილების უფროსის ყოფილი თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ზენდერევი დროებით დაშვებულ იყოს საერთო განყოფილების კანცელარიის უფროსად ამა წლის 1 აგვისტოდან.—

26 ნოემბერი 1918 წ. ქალ. ტბილისი.

№ 176

**ინიშნება:** კომპოზიტორი ფოცხვერაშვილი ინსტრუქტორად სამხედრო მუსიკისა და გალობისა პოლკის უფროსის თანაშემწის ჯამაგირით, ამა წლის 21 ივნისიდან.

სამხედრო მინისტრის მაგიერ მისი თანაშემწე **გ. მ. მდივანი.**

26 ნოემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი

№ 177.

**ინიშნება:** პორუჩიკი მიქელაძე სასაპიორო ბატალიონში.

**წიივლინებიან სასაპიორო ბატალიონში:** პოდპოლკოვნიკი ჩიკვაიძე გიორგი, პორუჩიკები: ფანჯავიძე ალექსანდე, თათუსოვი პეტრე, თორაძე გრიგორი; კრეისერი „კარლოსის" კომანდის უფროსი პოდპორუჩიკი მინდელი ალფესი; ყოფილის მე-10 მალოროსიის გრენადერის პოლკის პოდპორუჩიკი გრიგორია ამბერკი; ყოფლიი მე-3 ცალკე სასაპიორო ასეულის პრაპორშჩიკი ტაბლიაშვილი სვიმონი.

**სატეხნიკო ბატალიონში:** პოდპორუჩიკი პოლტორაცკი ნიკოლოზი და პრაპორშჩიკი ხოზბერიძე ვასილი.

**საავტომობილო გუნდში:** პოდპოლკოვნიკი ზალდასტანოვი სოლომონი; სათადარიგოთ მყოფი შტაბსროტმისტრი ბექდაბეგიშვილი ევგენი; შტაბს-კაპიტანი ოქროპირიძე გიორგი; პორუჩიკი გაბელაშვილი სერგია; კორნეტი ციციშვილი ალექსანდრე; პოდპორუჩიკი ჩუბინიძე ლუკა; მიჩმანი ლენჩევსკი ევგენი; პოდპორუჩიკი ხუმარაძე ალექსი; პრაპორშჩიკები: იოსებაშვილი ივანე და ბახტაძე ალექსანდრე.

**ჯავშნოსან ავტომობილის ასეულში:** კაპიტნები: ცაგარეიშვილი ევგენი, მამულია ვასილი; შტაბსკაპიტანი მაყაშვილი გაბრიელი; პორუჩიკები: ფავლენიშვილი გიორგი, ტკეციშვილი პავლე, იროლოვი სერგია; კორნეტი ფარნეიშვილი ალექსანდრე; პოდპორუჩიკები: გოცირიძე მიხეილი და კორძაია ალექსანდრე; პრაპორშჩიკი ასათიანი გიორგი.

26 ნოემბერი 1918 წ. ქალ ტფილისი..

№ 178

**აყვანილია:** გენერალ მაიორის ხარისხზე, ცხენოსანთ ჯარში, წმინდა გიორგის ორდენის სტატუტის § 49 ძალით ცხენოსანის ბრიგადის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ჭავჭავაძე სპირიდონი

27 ნოემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 179

**აყვანილია შტაბს-კაპიტნის ხარისხზე:** სამსახურში თავის გამოჩენისათვის, უფროსობით საინჟენეროჯარში, უფროსი პირველი ცალკე სასაპიორო გუნდის პორუჩიკი შენგელია ილია 1918 15 მაისიდგან.

27 ნოემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 180

**აყვანილია პოდპოლკოვნიკის ხარისხზე:** ბოლშევიკებთან ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის ამა წლის 26 ივნისიდგინ 14 ივლისამდე, უფროსობით ქვეითა ჯარში 10 ივლისიდგან 1918 წ. უფროსი ტფილისის ცალკე მსროლელი ბატალიონის კაპიტანი ფურცელაძე. კაპიტნის ხარისხაზე ოსმალების წინაალმდეგ ამა წლის 17 აგვისტოს ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის, უფროსობით საინჟენეროჯარში 17 აგვისტოდგან 1918 წ. უფროსი პირველი ცალკე სასაპიორო გუნდის შტაბს-კაპიტანი შენგელია (ილია)

პრაპორშჩიკის ხარისხაზე, ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის ამა წლის 23 სექტემბერს სოფელ ვოიკოვისთან, უფროსობით ცხენოსან ჯარ'მი 23 სექტემბრიდგან 1916 წ. ამიერ კავკასიის ცხენოსანთა ასეული ნებით სამსახურში გაწესებული ჭავჭავაძე დავითი

სამხედრო მინისტრის მაგიერ,

გენერალ მაიორი მ დ ი ვ ა ნ ი.

# არა ოფიციალი განყოფილება

**თბილისი, 15 დეკემბ''რი.**

**ჯარი და დემოკრატია.**

ერთს ევროპიელ კონსერვატორს უთქვამს:—როცა ჯარზე ვლაპარაკობთ, დემოკრატიაზე აღარ უნდა ვილაპარაკოთო, თუ კარგათ დაუკვირდებით, ადვილათ მიხვდებით, რომ ეს შეხედულება სიყალბეზეა აშენებული და არსებითათ მიმართულია როგორც ხალხის, დემოკრატიის, ისე თვით ჯარის ინტერესების წინააღმდეგ.

ამის თქმა შეეძლოთ ძველი წესწყობილების მომხრეებს, რომელნიც ჯარის მიზანს უმთავრესათ სამეფო ტახტის დაცვაში ხედავდენ. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ეთქმის იმათ, ვინც დემოკრატიულ სახელმწიფოსთვის იბრძვის და ვისაც თავისუფალი სამშობლოს და რესპუბლიკის დაცვა გამტკიცება ახალი ჯარის უმაღლეს დანიშნულებად მიაჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკა ნიშნავს საზოგადო მართვა-გამგებლობას, დემოკრატია მოასწავებს ხალხურ სახელმწიფოებრივობას, ერის თვით ბრძანებლობას, თვით მართველობას და თავისუფლებას. მაშასადამე ამ თავისუფლების და სახალხო წყობილების დამცველი ძალა არის და უნდა იქნეს ძალა დემოკრატიული, ძალა რესპუბლიკანური.

შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე ქვეყანაში ხალხის შეიარაღებული ნაწილი ჯარი მონარქიული იყოს და პოლიტიკური წყობილება, დემოკრატიული ან, პირიქით, პოლიტიკური წყობილება მონარქიული იყოს, ხოლო ჯარი დემოკრატიული. ამგვარი წინააღმდეგობა დროებით თუ წარმოიშობა მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინათვე აღსდგეს თანხმობა და მთლიანობა სახელმწიფურ წყობილებისა და ჯარის აგებულებას შორის.

ყველგან სადაც კი ნამდვილი დემოკრატია არსებობს, ჯარიც დემოკრატიულ ლტოლვილებით არის გაჟღენთილი. ხოლო სადაც ჯარი დემოკრატიულია, იქ დემოკრატიის საერთაშორისო ხელუხლებლობა მტკიცე და უზრუნველყოფილია.

ევროპა-ამერიკის დემოკრატიულ რესპუბლიკებში სამშობლოს და თავისუფლების ბედს სდარაჯობს გათვითცნობიერებული ჯარი, რომელიც მთელი ხალხის ხორცი ხორცთაგანი და ძვალი ძვალთაგანია. იქ ჯარი და ერი ერთიერთმანეთს არ უპირდაპირდებიან, ჯარი იგივე შეიარაღებული ერია, რომელიც ყოველთვის მზათაა მტლად დაედვას თავის დემოკრატიულ სამშობლოს კეთილ დღეობას. ჯარი კარჩაკეტილში როდია მომწყვდეული. ჩამოშორებული მთელი ხალხის, მთელი სახელმწიფოს მოქალაქობრივ და კულტურულ ცხოვრებას იგი ერის სულის კვეთებით არის გარემოცული, მისი ცხოვრებით ცხოვრობს, ხარობს და ზეიმობს საერთო საერო სიხარულით, სწუხს და იტანჯება საზოგადო სახალხო მწუხარებით.

ჯარს იქ ღრმათ აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, ძვალრბილში აქვს გამჯდარი, რომ უსიტყვოთ, შეუპოვრათ და თავდადებით უნდა დაიცვას თავის ქვეყნის კულტურა და თავისუფლება. და რაც უფრო დემოკრატიულათ არის მოწყობილი სამშობლოს წესწყობილება, მით უფრო კულტურულათ ამაღლებულია მეომარი, მით უფრო ესმის როგორც ჯარს, ისე მთელ ხალხს სამშობლოს და თავისუფლების დაცვის საჭიროება.

დემოკრატია მშვიდობის მყოფელია. მაგრამ, როდესაც მის სამშობლოს ყოველ მხრიდან ემუქრებიან და მუდამ ჟამს მოსალოდნელია თავდასხმა და სისხლით მოპოებული თავისუფლების განადგურება, მას ჰმართებს მკლავის მომამაცურება, შეიარაღებულ ძალების წვრთნა, სამხედრო ძლიერების შექმნა დროის და გარემოების შესაფერათ.

და აი სწორეთ ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით ჩვენ დღეს, აი ასეთ სამხედრო ძლიერების შექმნისაკენ მიისწრაფის ჩვენი დემოკრატიული მთავრობა.

ჩვენი რესპუბლიკის თავისუფლება ჩვენ ხელთ

## საუბარი. ჯარისკაცთან.

დღევანდელი დღე, ჯარის-კაცო, შენი დღეა, დღევანდელი დღესასწაული ყველაზედ უფრო შენი დღესასწაულია, ამიტომ თუ ვისმე ჰმართებს ზეიმი და მხიარულება, ყველაზედ მეტი შენ, მაგრამ ამავე დროს, თუ ვისმე მართებს მტკიცეთ, შეუპოვრათ, გმირულათ დაცვა ყოველივე იმისი, რაც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა შენი და შენი ძმების, ამხანაგების თავგანწირული ბრძოლით, ყველაზედ უფრო შენ გმართებს.

რატომ?

იმიტომ რომ ყველაზედ მეტი შენ მოგცა რევოლიუციამ.

და ხომ იცი: ვისაც მეტი აქვს, იმას მეტიც მოეთხოვება, იმას მეტი მოვალეობაც აწევს კისერზე.

კიდევ იმიტომ რომ ჩვენი ხალხის შეგნებულმა ნაწილმა ანუ, როგორც ამბობენ ხოლმე, დემოკრატიამ შენ ჩაგაბარა ჩვენი ნორჩი რესპუპლიკა, შენ დაგაყენა იმის დარაჯათ და მცველათ.

ესკი იცოდე, ჩემო ძვირფასო, დიდი, მეტათ დიდი ჯილდოა.

დემოკრატია ადვილათ არავის ენდობოდა, მისი ნდობა ფას დაუდებელია.

საქართველოს დემოკრატიამ შენ დაგაჯილდოვა, დღეს თვისი ნდობით, შენ გიცნო მან რჩეულათ, ღირსეულათ. ჩაგაბარა მან ის, რაც ამ ჟამათ მისთვის ყველაზედ უფრო ძვირფასია - ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა

აი ეს რესპუბლიკა, ჩაგაბარა მან და გითხრა: დაიფარე ის გარეშე და შინაური მტრებისაგან.

გაამართლებ შენ დემოკრატიის ასეთს ნდობას?

რასაკვირველია, გაამრთლებ!

უნდა გაამართლო, რადგანაც მთელი ქვეყანა შენ მოგჩერებია, ჩვენო იმედო, ჩვენო ჯარის-კაცო!

უნდა გაამართლო, რადგანაც თავისუფლებისათვის მებრძოლთა და ამ ბრძოლაში დაღუპულთა, უმანკო სისხლი ამას გავალებს დღეს შენ. გაიხსენე, რა იყავი და რა ხარ დღეს.

განა სიმართლეს არ ვამბობ, როდესაც გეუბნები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის. საქართველოს საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ უნარს გამოვიჩენთ სახელმწიფურ შემოქმედების საქმეში, კერძოთ, გვეყოლება თუ არა გაწვრთნილი, თავის დანიშნულების შემგნები ჯარი, რომელსაც მტკიცეთ დაემყარება განთავისუფლებული საქართველო.

უკანასკნელი ამბები მჭერმეტყველურათ მოწმობენ, რომ რესპუბლიკის ჯარის საქმე წინ მიდის და უფრო და უფრო მტკიცდება. მაშასადამე, წინ მიდის და მტკიცდება რესპუბლიკის საერთო საქმეები, მაგრდება სახელმწიფური ორგანიზაცია და დემოკრატიული წყობილება.

მოიგონეთ საქართველოს დამოუკიდებლობის ექვსი თვის შესრულების საზეიმო ამბავი და სახალხო გვარდიის ბრწყინვალეთ ჩატარებული დღესასწაული, რომ საუკეთესო მერმისის იმედით აღნიშნოთ და დარწმუნდეთ, რომ ქართველ ხალხს და მის ახალგაზრდა ჯარს შეუძლია არა მარტო ძველის რღვევა, არამედ ახალის საფუძვლიანი შენებაც.

თქვენ კარგათ იცით თუ რა ჰქნეს ბოლშევიკებმა რუსეთში: დაშალეს სახელმწიფოებრივობა და სამარე გაუთხარეს რევოლიუციას და თავისუფლებას, ლეშათ გადააქციეს დიდი და ძლიერი ქვეყანა, საიდანაც დღეს მხოლოდ შავი ანარქიის და ცხრა თვალა რეაქციის სუნი მოდის.

საქართველო არ გაყვა მათ, მან გმირულათ გადაირჩინა თავი ბნელ ძალებთან ბრძოლაში და შინ სამოქალაქო მშვიდობიანი ცხოვრება გააჩაღა, როგორც მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ნ. ჟორდანიამ განაცხადა წესიერება და თავისუფლება შეაუღლა და მით განამტკიცა საფუძველი დემოკრატიულ სახელმწიფოს წყობილების.

აი ამ ჩინებული გზით მიიმართება ჩვენი რესპუბლიკა და ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს ჯარი გაიორკეცებს ძალ-ღონეს, სიმტკიცის სარტყელს შემოირტყამს, გაფოლადდება და ყოველთვის პირნათლათ დაიცვამს სამშობლოს თავისუფლებას და დემოკრატიის საკურხეველს.

---

## გერმანიის სამხედრო ორგანიზაციის შესახებ.

სამს ენკენისთვეს 1914 წ. სწორეთ ასი წელი შესრულდა, რაც პრუსსიის სამხედრო სამინისტრომ საყოველთაო მოვალეობათ გახადა ჯარში სამსახური. ამ კანონის იდეა გენერალ შარნჰორსტს ეკუთვნოდა. მას სურდა მთელი ნაციის ცხოველი ძალა ისე დაემუშავებია, რომ გაჭირვების დღეს სამშობლოს გამოსდგომოდა, შემდეგში მთელმა ქვეყანამ დააფასა ეს იდეა და გაატარა კიდეც ცხოვრებაში.

უახლოესმა წარსულმა იგი ხომ განვითარების უმაღლეს წერტილამდე აიყვანა.

უკვე 1913 წლის სამხედრო კანონმა გაადიდა გერმანიის ჯარის ნაწილები, მაგრამ ამ ომმა ისეთი დიდი და ახალი მოთხოვნილებები წამოუყენა სახელმწიფოს, რომ მთავარი რეფორმების განხორციელება სწორეთ ომის დროს მოუხთა სამხედრო სამინისტროს.

პირველ ყოვლისა საჭირო იყო იმ უზარმაზარი მასალის დამუშავება, რომელიც მოხალისეთა სახით მიაწყდა სამხედრო სამინისტროს. ორი კვირა არ იყო ჯერ კიდევ გასული, ომის გამოცხადების დღიდან, რომ ზემოხსენებული

---

ევოლიუციამ ყველაზე მეტი შენ მოგცა მეთქი?

მაშ გაიხედე უკან, მოიგონე ის დრო, როდესაც შენ იყავი მეფის ჯარის კაცი.

რას წარმოადგენდი მაშინ?

ადამიანს?

—არა.

მოქალაქეს?

—არა.

საქონელს, რჩომას, პირუტყვს,—აი რას წარმოადგენდი!

შენ არ გქონდა არავითარი უფლება გარდა დუმილისა და „ტოჩნო ტაკ“, „ნიკაკ ნეტ“-ის ძახილისა.

თავპირში გარტყამდენ, დედმამას გაგინებდენ, და შენ კი პირზე კლიტე უნდა დაგედვა და ჩუმათ მდგარიყავი.

შენ კი დღეს მოქალაქე ხარ, დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქე.

და ჩვენი მთავრობა, ხალხის მიერ არჩეული და ხალხისავე ნდობით აღჭურვილი მთავრობა მუდამ იმას ჰფიქრობს, რომ შენი ცხოვრება, შენი მდგომარეობა დღითი დღე გააუმჯობესოს.

გეთანხმები, ჯერ ბევრი რამ გაკლია. მაგრამ ეს იმიტომ კი არა, რომ ჩვენს მთავრობას შენთვის შურდეს რამე, შენთვის არ-ემეტებოდეს,—არა!

შენც დამეთანხმე, რომ ჩვენი რესპუბლიკა მეტათ ნორჩია, ერთობ მძიმე, არაჩვეულებრივ პირობებში დაიბადა ის და ამიტომ ერთბაშათ ყოველივე ვერ მოეწყობა ისე, როგორც შენ გინდა, მე და სხვ. ნათქვამია, ერთბაშათ ღმერთმა ვერ გააჩინა ცა და ქვეყანაო და ჩვენი მთავრობა ერთის ხელით დაკვრით ხომ ვერ შექმნის და გააჩენს ყოველისფერს.

მაგრამ თუ ითმენდი—მაშინ, როდესაც ხალხის მტარვალებს ემსახურებოდი, როგორც მონა, დღეს ერთი ასათ უფრო უნდა მოითმინო, რადგანაც შენ ხარ თავისუფალი ადამიანი და იცავ შენის მარჯვენით, შენის გულმკერდით შენს სამშობლოს, შენს რესპუბლიკას და ამით საშუალებას აძლევ ჩვენს მთავრობას, რომ მან ხალხის სასარგებლოთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროს ბრძანებით ხუთი ახალი კორპუსი შეიქმნა. ამ კორპუსში შედიოდენ მოხალისები, რომელთაც პირველი თოფის გავარდნაზევე მიაშურეს სამშობლოს დროშას. ეს მშვენიერი საჯარო მასალა სწრაფად და საუცხოვოდ დამუშავდა. იზერის მინდვრები მოწმენი არიან იმისა, რომ ზემოხსენებული მოხალისენი, ნაციონალური ჰიმნის სიმღერით ეგებებოდენ სამშობლოსათვის სიკვდილს. არ გაუვლია რამოდენიმე თვეს, რომ დასახელებულ 5 კორპუსს, ცამეტი ახალი კორპუსი მოჰყვა 29, 30, 31, 32 და სხვა. თებერვლის დამდეგს 1915 წელს ეს კორპუსები უკვე მიექანებოდენ აღმოსავლეთისაკენ, სამშობლოს საზღვრებიდან მტრის გასაძევებლათ. მასურიის ჭაობები დღემდისაც მოგვითხრობენ მათ საგმირო საქმეებს. დასახელებულ კორპუსებს შემდეგში კიდევ ახლები მოჰყვენ. რამდენათ უფრო გრძელდებოდა ომი, იმდენათ ფართო მოთხოვნილებებს გვიყენებდა იგი წინ. აშკარა იყო, რომ დაბოლოს იგი მთელი ნაციის ძალას მოითხოვდა უკლებლივ. და ეს ასეც მოხთა. 5 დეკემბერს 1916 წელს სამხედრო სამინისტროს წინადადებით მართლაც გამოიცა დაძალებითი სამსახურის შესახები კანონი. ეს კანონი ავალებდა ყოველ მამაკაცს (17 წლიდან 60 წლამდე) რომელიც მიზეზის გამო არ იყო ჯარში ჩარიცხული, სამხედრო წარმოების, რომელიმე დარგში ემუშავნა უსათუოთ.

ცოცხალი მასალის გარდა სხვა-რამეცაა ომისათვის საჭირო ამ ხრივაც განუზომელი იყო ომის მოთხოვნილებანი. 1 საომარი იარაღები და მასალები რომელნიც სახელმწიფოს წინდაწინვე ჰქონდა დაგროვილი სულ მოკლე ხანში შემცირდენ. მალე გამოირკვა რომ ახალი სისტემის თოფები აკლდათ, სათადარიგო ჯარებს ტყვიის მფრქვეველები, ცხენოსანთ ჯარებს მოძრავი სამზარეულოები და სხვა და სხვა. ამ სიძნელესაც სძლია სამხედრო-სამინისტრომ, მაგრამ ათასი სხვა ახალი რომ იყო კიდევ გასაკეთებელი, იმან სულ ახალი დარგები შეჰქმნა. საჭირო იყო მათი მოწყობა და განვითარება. იმის წინ არავის არ ჰქონდა წარმოდგენა ჰაერის ჯარზე, გაზების ბრძოლაზე, ან მძიმე არტილლერიის იმ უზარმაზარ რაოდენობაზე, რომელიც საჭირო გახთა შემდეგში. ყველა ამის შექმნა დამზადება- და დროთა შესაფერათ ზრდა ეჭივრებოდა. როდესაც გერმანიის მოწინააღმდეგეთ ამერიკაც მიემატა, აქნამდის არსებულ ტეხნიკურ საშუალებათა თანასწორობა, მათ სასარგებლოთ შეიცვალა. საქმიხ გამოსასწორებლათ 31 მარიობისთვეს 1916 წელს მთავარი შტაბის უფროსმა მოითხოვა, რომ საომარი მასალის წარმოება გაორკეცებულიყო, ზარბაზნების წარმოება კი გასამკეცებულიყო, ეს იყო ე. წ. ჰინდენბურგის პროგრამმა. იგიც კარგათ შეასრულა სამხედრო სამინისტრომ მთელ·ი სახელმწიფოს შემწეობით.

ყველა იმ რეფორმების განსახორციელებლათ საჭირო იყი თვით სამხედრო სამინისტროს ორგანიზაციის შესაფერი გარდაქმნაცა:

ახალი განყოფილებების შექმნა, ძველების გაფართოება და სხვა.

რაკი სამხედრო მინისტრი გენერალ ფალკენჰაინი ბრძოლის ველზე იყო, საქმეს მისი თანაშემწე ფინვანდელი უდგა სათავეში. შემდეგში ფალკენჰაინის ადგილი გენერალ ვილდფინ ჰოჰენშთრმა დაიჭირა, მაგრამ ისიც მთავარ შტაბს ახლდა ხოლმე. 29 ღვინობისთვეს 1913 წელს ეს წესი შეიცვალა და ახალი სამხედრო მინისტრი არტილლერიის გენერალი ფინშტეინი ჩაუდგა საქმეს სათავეში.

ომის დაწყებამდე სამხედრო სამინისტრო შემდეგ განყოფილებებად იყოფებოდა: ცენტრალური დეპარტამენტი, საერთო სამხედრო დეპარტამენტი, დეპარტამენტი გვარის მმართველობისა, მომარაგების და სამოსამართლო დეპარტამენტი.

პირველი დეპარტამენტი შესდგებოდა ორ ნაწილისაგან; მეორე 9-საგან; მესამე 6-ისა და მეოთხე სამისაგან. შემდეგში რემონტის-ინპეკციიხა და მედიკურ განყოფილებებს მიემატა ახალი, ბინების დეპარტამენტი 4-ის განყოფილებით, რომელიცა ზემოხსენებულ ჯარის სამმართველო დეპარტამენტს გამოეყო. საერთო სამხედრო დეპარტამენტ-

---

ხალხის საკეთილდღეოთ და საბედნიეროთ გარდაქმნას და მოაწყოს ჩვენი ქვეყნის ცხოვრება.

ხომ იცი, ძველი ტანისამოსის გადახალისება, ძველი შენობის გადაკეთება ძნელია და რამდენათ უფრო ძნელი უნდა იყოს ძველი ცხოვრების დანგრევა და ახალი წყობილების აშენება)

ამ მეტათ ძნელ და მძიმე საქმეს აკეთებს დღეს ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა. მას ათას გვარი დაბრკოლება ელობება წინ, ათასი მტერი ჰყავს მას და ჩვენს თავისუფლებას და ვინ უნდა გაამხნეოს ასეთ დროს ჩვენი მთავრობა, ვინ უნდა გაუმაგროს მას ზურგი, ვინ უნდა იყოს მისი ყავარჯენი?

ვინ და შენ, ჩემო ჯარისკაცო!

რესპუბლიკის ჯარი იმედი და სიმტკიცეა როგორც რესპუბლიკის, ისე მისი მთავრობის.

ვაშა რესპუბლიკის ჯარს!

გაიხსენე, რას წარმოადგენდი შენ მეფის მთავრობის ხელში.

ზარბაზნის საზრდოს.

სადაც მეფესა და იმის მთავრობას უნდოდა, იქ გიკრავდენ თავს ცხრა მთას იქით გაღვრევინებდენ სისხლს, შეგასევდენ უცხო მხარეს და შენი სისხლი ხალხს კი არ ხმარდებოდა, არამედ ხალხის მტრებს, ხალხის მტარვალებს: შენის სისხლით მეფე და მისი მთავრობა თავის საპირადო საქმეს აკეთებდენ, ხალხს კი მონობაში და უმეცრებაში სული ჰხდებოდა.

დღეს კი ყოველივე ეს წყალმა წაიღო. დარწმუნებული უნდა იყო, რომ ჩვენი მთავრობა ხალხის მთავრობაა, ის არასოდეს არ გაგზავნის სხვების დასაჩაგრავათ, სხვების სახოცავათ, სხვისი ქვეყნების დასაპყრობათ.

ჩვენს რესპუბლიკას ბევრი მტერი ჰყავს. ამათ უნდათ ჩვენი რესპუბლიკის დაღუპვა და ჩვენი ხალხის დამონავება, მისი თავისუფლების განიავება. ჩვენი მთავრობა შენ გავალებს მხოლოდ, რომ აი ეს ჩვენი რესპუბლიკა დაიფარო ამ მტრებისაგან.

სხვისი ჩვენ არა გვინდა-რა, ღმერთმა ყველას კეთილათ მოახმაროს თავისი, მაგრამ არც ჩვენ უნდა გავატანოთ ვისმე ჩვენი.

თან გაიხსნა ახალი—საჰაერო ძალთა განყოფილება. ამ გზით 1918 წლამდის დეპარტამენტთა რიცხვმა 6-მდის მიაღწია. განყოფილებების რიცხვებიც გაიზარდა. პირველი (ცენტრალური) დეპარტამენტის განყოფილებების რიცხვმა მაგალითათ 5-მდის აიწია. სამმართველო დეპარტამენტს გამოეყო სამობილიზაციო განყოფილება, ახლათ დაარსდენ განყოფილებები რომელნიც განაგებდენ მოკავშირე გვარებს რკინის გზებს, ოფიცერთა ნაწილთა შევსების საკითხს, სასურსათო მასალების მოპოების და ახალი ქიმიური საშუალებების გამოძებნის საკითხს.

ბინების დეპარტამენტი დაბოლოს 7 განყოფილებებისაგან შესდგებოდა. ამ დეპარტამენტს ებარა სხვათაშორის ტყვეების საკითხიც. მეოთხე დეპარტამენტიც გაიზარდა. მას ორი ახალი-განყოფილება მიემატა, მედიკურ განყოფილებას გამოეყო სანიტარული განყოფილება და ახალ სამ განყოფილებიან დეპარტამენტათ იქცა.

ყველა ეს ცვლილებები და რეფორმები იმით იყო გამოწვეული, რომ სამხედრო სამინისტრო ომის დროს ფაქტიურათ მთელი სოციალური და ეკონომიური ძალების მომწყობ ორგანოთ შეიქნა. განსაკუთრებით თავსატეხი შეიქნა მისთვის სურსათის დ ა დასამუშავებელი მასალების მოპოების საკითხები, რადგან გერმანია ომის პირველ დღიდანვე მოსწყდა მსოფლიო-ბაზარს.

ამის გამო სამხედრო სამინისტრომ უკვე 8 მარიობისთვეს **1914** წელს დაარსა განსაკუთრებული განყოფილება, რომელსაც ევალებოდა ზემოხსენებული მასალების მოპოება.

მართალია ბელგიისა და ჩრდილო-საფრანგეთის ხელში ჩაგდებამ ბევრი რამ შესძინა ამ მხრივ გერმანიას, მაგრამ მისი მოწინააღმდეგენი მაინც გაცილებით მდიდარნი დარჩენ მასზე. სამხედრო-სამინისტროს სურდა რაც შეიძლებოდა კარგათ ვდევნებინა თვალი ყველა იმ განყოფილებებისა და დაწესებულებებისათვის, რომელთაც ზემოხსენებული მასალების მოპოება-დამუშავებასთან ჰქონდათ საქმე. მან შეაერთა, ამიტომ, ყველა ისინი ერთ განსუაკთრებულ უწყებაში და მიუჩინა უკანასკნელს განსაკუთრებული მმართველობა. ამავე დროს სამხედრო-მინისტრს მიენიჭა პრუსიაში უფლება მთელი ეკონომიური ძალების მთავარ-მმართველობისა.

ამ საშუალებით სცდილობდა გერმანია თავისი გაეტანა იმ ბრძოლაში, რომელშიაც კაცობრიობის $^4/_5$ მის წინააღმდეგ იყო. 4 წლის განმავლობაში იგი ვაჟკაცურათ იგერიებდა ამ უზარმაზარ ძალასა ეს იმით კი არ აიხსნება მარტო, რომ მას კარგი ჯარი ჰყავდა, არამედ მითაც რომ მთელი ერი ერსულოვან ერთეულს წარმოადგენდა, რომლის ძალები სულმთლად სამხედრო საქმეს ხმარდება. ამ საქმეს ემსახურებოდა მეცნიერებაც, ტეხნიკაც სასოფლო მეურნეობაც, ქალაქის ინდუსტრიაც პარტიებიც და პროფესსიონალური კავშირიც, ყველა ამ დარგებიდან მოკრებილ ძალებს სამხედრო სამინისტრო უყრიდა თავს და აგებებდა მტერს.

ლეიტენანტი **გერკე**.

## კვირეული მიმოხილვა.

(შინ და გარედ).

გასულმა კვირამ მრავალი ახალი ხაზი შეიტანა, როგორც საერთაშორისო მდგომარეობაში საერთოდ, ისე საქართველოს ცხოვრებაში, კერძოთ. უმნიშვნელოვანესი ხაზი, რომელიღაცამ კვირის დასაწყისს დასრულდა და შემორგვალდა საქართველოს ნამდვილი საზღვრები, იყო ის სასიამოვნო მოვლენა, რომელითაც საქართველოს თავისი მოწყვეტილი შვილი დაუბრუნდა. მან უკვე მიიღო ამ რამოდენიმე თვის წინათ ოსმალურ ხიშტით გამოგლეჯილი ახალციხე-ახალქალაქის მაზრა. ქართველმა ჯარმა უკვე დაიცვა იგი. მაგრამ ამ აქტის დროს არ მომხდარა ძალადობა, პარიქით, სიხარულით და ზეიმით, აღფრთოვანებით ხვთებოდენ ადგილობრივი მკვიდრნი ამ ჩვენი ჯარის იქ მისვლას. ახალქალაქში ჩვენი ჯარის შესვლის გამო სომხეთმა პროტესტი

---

დემოკრატია სამშობლოს არავის არ ართმევს, სამაგიეროთ არც თავის სამშობლოს დაუთმობს სხვას.

ასეთი უნდა იყოს დემოკრატიის ჯარი, ასეთი უნდა იყო შენ.

სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთს დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება.

აი შენი სიმღერა, ჩვენი თავისუფალი და დემოკრატიული სამშობლოს იმედო!

თუ თვითმყრობელობის მთავრობა გავალებდა სხვის აკლებასა და აოხრებას, სხვისი სამშობლოს დაპყრობას მუქთა ხორათა საკეთილდღეოთ, თუ ის ანგარიშს არ უწევდა შენს რწმენას, შენს სინიდისს, არახფერი ამის მსგავსი ჩვენს რესპუბლიკაში არ მოხდება: ჩვენი მთავრობა გავალებს მხოლოდ იმას, რასაც შენც და ყველა ჩვენგანს ეუბნება მისი საკუთარი რწმენა და სინიდისი: ნურავის ახლებ ხელს, დაიცავი ძმობა და ერთობა, მაგრამ დაიცავი შენი სამშობლო და ამ სამშობლოში მცხოვრებნი გარეშე მტრებისაგან, რომლებიც კი ჩვენი დემოკრატიის დამხობას და განადგურებას მოინდომებენო.

ყოველმა შეგნებულმა დემოკრატმა უნდა დაიცვას თვისი სამშობლო და თავიც გასწიროს მისთვის, თუ კი ეს აუცილებელი გახდა.

ჩვენი სამშობლო კი დღეს განსაკუთრებულათ არის ღირსი, რომ ის დაიფარო და მტრებს არ გაატანო.

ამას გავალებს კეთილდღეობა ჩვენი მშრომელი ხალხისა, ამას გავალებს მომავალი შენი შვილებისა, ძმებისა და ამხანაგებისა.

რატომ?

იმიტომ რომ, ჩვენი სამშობლო წარმოადგენს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

მაგრამ ამის შესახებ შემდეგ ვისაუბროთ.

**ივ. ბომართელი.**



1) ბათუმის პარტიზანულ რაზმის შტაბი ბორჯომში. შუაში ზის რაზმის უფროსი ს. გედევანიშვილი, მარცხნივ ს. მდივანი.



2) ბათუმის პარტიზანულ პოლკის შტაბი აწყურთან. შუაში ზის რაზმის უფროსი ს. გედევანიშვილი.

განაცხადა. საკვირველია, რომ სომხეთი ამ ადგილს კიდევ სადაოთ სთვლის! ერთი კი ცხადია, ის სიხარული, რომელითაც ჩვენს ჯარს იქ შეხვდენ საბუთად არ გამოადგებათ სომხეთის დიპლომატებს. თუ ერთი მხრივ ამ მხარეზე თავისუფლათ მტკიცდება საქართველოს მდგომარეობა, მეორე მხრივ, ჩვენი დამოუკიდებლობის მტრები წუთს არ უშვებენ, რომ ჩვენზე თავდასხმა არ მოახდინონ. ამ მხრივ, მეტათ სამწუხარო ამბავი ისევ სანაინთან ხდება. სანაინთან და ვორონცოვკაში ჩვენი ჯარის სადარაჯო ნაწილებს თავს დაესხენ, როგორც მტკიცდება, შეიარაღებულ ბრბოსთან ერთად, სომხეთის ჯარის რეგულიარული ნაწილებიც. ცხადია, ასეთ მოვლენას ანგარიშს უწევს ჩვენი მთავრობა და პასუხს სთხოვს სომხეთს, რომლის ტერიტორიიდან ეს მოქმედება გამომდინარეობდა. ყოველ შემთხვევაში მთავრობა მზათაა დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა. მთავრობა სცდილობს და იღებს ყოველგვარ მშვიდობიან ზომებს ინციდენტის მოსასპობათ.

თუ ერთი მხრით იარაღითაც კი მიდიან ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ, მეორე მხრივ ნიადაგს ამზადებენ იარაღის ხელში ასაღებათ და ისმის ყრუ მუქარა ჩვენდა შესამუსვრელათ. რეაქციონერებისა და შავრაზმელების სათარეშო ასპარეზზე-ყუბანში და ოლქში ჩვენი დემოკრატიელი რესპუბლიკის წინააღმდეგ გახარებული აგიტაცია სწარმოებს. ამ უკანასკნელ კვირაში მან მეტათ ფართო ხასიათი მიიღო. იარაღსაც აჟღარუნებენ! მაგრამ მათ წინააღმდეგ პირველი ფარი უკვე მზათაა. ესაა-სოჭის ოლქის დემოკრატია, რომელმაც გასულ კვირის გლეხთა საოლქო ყრილობაზე ერთჯერ კიდევ მტკიცეთ გამოსთქვა სურვილი, რომ იგი საქართველოს ფარგლებში რჩება და იზიარებს მის პოლიტიკას. ამ პირველ ფარს, — ამაგრებს და ამტკიცებს საქართველოს დემოკრატია, რომლის პარადი ხუთშაბათს მოხდა. სახალხო გვარდია და ჩვენი ჯარი თავისი შემკულობით გამოვიდა ხუთშაბათს და ეს დღე, ბრწყინვალე დღე წაუშლელი რჩება საქართველოს ისტორიაში. სახალხო გვარდია და ჯარი თავს სდებდა და ენაცვლებოდა დემოკრატიულ დამოუკიდებელ საქართველოს და მან იხსნა კიდეც იგი დაღუპვისაგან. და ჩვენ გვწამს, რომ თავდაცვის საჭიროების დროს მთელი ქართველი ხალხი სახალხო გვარდიასთან ერთად ფეხზე დადგება და მოგერებითი იარაღს ხელთ აიღებს. ამ მტკიცე რწმენით გამსჭვალული საქართველოს პარლამენტი და მთავრობა, ყოველგვარი დაწესებულება განაგრძობს ამშენებლობითი მუშაობას საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის სრულობრივ დასამკვიდრებლათ. დამოუკიდებლობის და დემოკრატიის დაცვა უპირველესი საქმეა, — თავისუფლების და წესიერების დაცვა — უაღრეს მნიშვნელოვანია და ამას მთელი ენერგია უნდა მოვანდომოთ. ესაა ხსნა ჩვენი ქვეყნისა და ამით ყველას დაუმტკიცებთ, რომ ჩვენ უფლება გვაქვს და შეგვიძლია „ჩვენს თავს ვეყუდნოთ". ინგლის-ამერიკელების მისიას ტყვილა კი არ გაჰკვირვებია საქართველოში განმტკიცებული წესრიგი.

ჩვენი მტრების ჩაგონებით უცხოელებს ჰგონიათ, რომ ჩვენში კაციჭამიობაა გაბატონებული, მაგრამ ტყუილია ეს, რომ ეს ტყუილია ეს დაინახა ინგლის-ამერიკის მისიამაც. რომელმაც ჩვენი თავისუფლების და წესრიგის გამო საგარეო საქმეთა მინისტრს ბ. ე. პ. გეგეჭკორს თავისი სიხარული და აღფრთოვანება გამოუთქვეს და გვწამს ინგლისელებისა და ამერიკელების ჩვენი დარწმუნება, რომ ისინი დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ აზრის სიმპატიას ჩვენი რესპუბლიკისაკენ მოაქცევენ და იმედს გვიასკეცებს მათი სურვილი, რომლითაც ვილსონთან და ჩვენი რესპუბლიკის მთავრობასთან ისინი შუამავლობას კისრულობენ.

დასავლეთ ევროპას უმთავრესი ყურადღება დღეს მომავალ საზავო კონფერენციისკენ აქვს მიქცეული. სასიხარულოა ვილსონის განცხადება, რომ იგი თავის საზავო პროგრამას დაიცავს კონფერენციაზე. ამ საზავო პროგრამის დაცვა კი დემოკრატიის დაცვაა, რომლისთვისაც დღეს გერმანიის რევოლიუცია იბრძვის. აუნიშვნელათ ვერ დავტოვებთ იმ ბრძოლას, რომელიც უკიდურეს მემარცხენეთა „სპარტაკის" ჯგუფს და მთავრობის შორის მოხდა ბერლინში. ეს ბრძოლა დემოკრატიის გამარჯვებით დასრულდა. ამაშია საწინდარი მისა, რომ რევოლიუცია თავის გზას არ ასცდება. ესაა სრული დემოკრაციზაცია ქვეყნებისა, რაც თავისთავათ გულისხმობს ერთა თვით გამორკვევის პრინციპის განხორციელებას. ამ მხრივ სანუგეშო დასაწყისს იძლევა დასავლეთი. ისლანდია სავსებით ჩამოშორდა დანიას და გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

ეს იცნო დანიამ. ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი და სხვები შეუდგენ თავის დამოუკიდებლობის განმტკიცებას, ხოლო გადასალახავი დაბრკოლება აქვთ მათ ერთი მხრივ ბოლშევიკური რუსეთის თვითნებობა და მეორე მხრივ რეაქციონული რუსეთის მისწრაფება. უკრაინაში ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. არ დასრულებულა ის ბრძოლაც, რომელიც სწარმოებს რუსეთის მრავალ ფრონტზე ბოლშევიკების წინააღმდეგ. აქ რამოდენიმე ძალა იბრძვის. სისხლს ღვრიან ეგრეთ წოდებულნი „რუსეთის გამაერთიანებელნი", მოკავშირენი, უფის მთავრობის მომხრენი, კადეტები, მონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისენი და სხვანი. ვინ გაიმარჯვებს და როგორი იქნება მომავალში რუსეთი ასეთი საკითხები ბუნებრივათ სდგება, მაგრამ მხოლოდ მარჩიელობით შეიძლება მას ვუპასუხოთ, რადგან რთული და მძიმე საერთაშორისო მდგომარეობა ხშირათ იცვლება და საერთაშორისო მდგომარეობაზე კი მრავალი რამ არის დამოკიდებული.

ვ. მოძველი.

## პატარა წერილები.

### I.

ისტორიამ ქართველ ჯარისკაცს განსაკუთრებით სასახელო როლი არგუნა.

იმ დროს, როდესაც მთელ დედამიწაზე ჯარისკაცი მხოლოდ იარაღი იყო გაბატონებული კლასების ინტერესების დასაცავად, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჯარისკაცი იმედია დემოკრატიისა, თავმდებია, რომ მშრომელ მასას ხელიდან არ გაუსხლტება ბრძოლით მოპოებული თავისუფლება.

ქართველ დემოკრატიას არა ერთხელ გაუპოხიერებია დედამიწა თავისი სისხლით და უფლებაც აქვს მოითხოვოს თავის შვილებისგან — მომავალში მაინც მოუარონ იმ დიად განძს, რომელიც შეძენილია დიდის წვითა და დაგვით.

ზედმეტი არ იქნება გავახსენო ჩვენს ჯარისკაცებს ის დიადი ღვაწლი, რომელიც მიუძღვით მათ წინაპარ მეომრებს, ხალხის შვილებს, ერისა და კულტურის დაცვაში. საქართველო მუდამ ჟამს თავის მდებარეობისა და სიმდიდრის გამო სანატრელი და საჯირითო მოედანი იყო გარეშე ძალთათვის.

მოვიგონოთ უძველესი დრო, როდესაც აწ უკვე განსვენებული „აზიის ლომი“ თავზარსა სცემდა ჩვენს ქვეყანას ღვთის რისხვად ევლინებოდა საქართველოს მტარვალთა და უკულტუროთა ქვეყანა — ოსმალეთი. ოსმალეთს თვალსა სჭრიდა განათლების სხივი და ისიც თავის თათებით აქრობდა იმ მაცისკროვნებელ ლამპარს განათლებისას, რომელიც ღვიოდა საქართველოში.

მაგრამ ისტორიის კანონი დაურღვეველია.

საქართველო გადარჩა გადაგვარებას. მის მხსნელათ ფეხზე დადგა მთელი ერი ვით ერთი კაცი.

საქართველოს საუკეთესო შვილნი შეეწირენ მის თავისუფლებას.

თავისუფლების და კულტურის სამსხვერპლოზე ქართველმა დედებმა საკუთარი მუცლით ნატარები და ძუძუ ნაწოვი შვილები მიიტანეს. ვინ არ იცის, ჩვენს ისტორიაში და ლიტერატურაში ათასჯერ ხაზგასმული თვისება ქართველი დედისა: საყვარელი შვილის უსაყვარლესი სამშობლოს სამსხვერპლოზე უცრემლოთ მიტანა.

დედის საყვარელი მხოლოდ ის შვილი-ღა იყო, რომელიც სამშობლოსთვის თავს დადებდა:

ერის თავისუფლებისთვის სიკვდილი იყო უდიდესი მოვალეობის ასრულება.

შინ ლაჩრულად დაბრუნებული შვილი მხოლოდ არცხვენდა ოჯახს; ასეთ ნაძრახ სიცოცხლეს ყოველი დედა შვილის ვაჟკაცურ, მამულისთვის რაინდულ სიკვდილს ამჯობინებდა.

გაიხსენეთ რას ეუბნება დავრდომილი დედა თავის ერთად ერთ შვილს: (დედა და შვილი. ილია),

სულზედა დიდი ცოდვა უნდა ედვას დედასა
რომ შვილი ამ დროს არ გაჰგზავნოს ძმათა საშველად,
ღმერთმა გვაშოროს, შვილო ჩემო, იმათ სირცხვილსა,
რომ შენ შინ იჯდე, ოდეს სხვანი იხოცებიან
ვინც მამულისთვის არ იმეტებს თავისა შვილსა
მას შვილი თვისი, ჩემო კარგო, არ ჰყვარებია.
ვაჟკაცი იყავ — ჩემი თხოვნა არის მხოლოდ ეს.

ან მეორე ადგილას:

"ე ვწუხვარ მარტო მასზედ, რომ ჩემს სიბერესა
.სანუგეშებლად მხოლოდ ერთი მოეცა შვილი
მე ვწუხვარ მასზედ, რომ ჩემს მამულს ამ ნეტარ დღესა
მხოლოდ ერთი-ღა შეაკვდება ჩემგან შობილი.

და მართლაც თუ არ ასეთი თავგანწირვა, თუ არ ასეთი მსხვერპლი მამულის წინაშე, განსაცვიფრებელი იქნებოდა ის მოვლენა, რომ ურდოებით გარშემორტყმული პატარა ქვეყანა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თავის სახეს არ ჰკარგავს და მე-XX საუკუნეში, პატარა ერების დღესასწაულის ხანაში, ყველა პატარა ერთა წინ სდგას თავისი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობით და ამყარებს ისეთ წესწყობილებას, რომელსაც დაწინაურებული ქვეყნებიც ახლა ესწრაფიან და ხალხთა თავისუფალ კავშირში შედის, როგორც დაწინაურებული და პატივცემული ერი, რომელსაც მსოფლიო სამართლიანობის დამყარებაში თავისი თვალსაჩინო წვლილი შეაქვს.

ასეთია მოკლეთ ჩვენი წარსული:

მუდმივი ბრძოლა თავისუფლებისთვის საერთაშორისო ძმობისთვის, თანასწორობისა და ერთობისთვის — აი ის ჩირაღდანი, რომელიც ქართველ მებრძოლთ ხელთ ეპყრათ უხსოვარ დროიდან.

მხოლოდ ჩვენი ერის ისტორიის უცოდინართ გაუკვირდებათ თუ რათ არის ქართველი ერი ასეთი ერთგული დარაჯი საერთაშორისო ძმობისა მე-XX-საუკნეში.

ქართველ ერს მემკვიდრეობით გადმოეცა თავისუფლების მოსარჩლეობა; ის ახლაც პირუტეხელი

სდგას ბრძოლის ველზე და ისევე რაინდულათ იგერიებს ყოველ ჯურის მტრებს, როგორც ამას სჩადიოდა ძველათაც.

რასაკვირველია ჩვენი დრო მე-XV საუკუნე არ არის და ქართველი მებრძოლიც თავისუფლების იდეას სულ სხვა შინაარსს უდებს.

ჩვენი დრო მრავალ შინაარსიანია; ეკონომიურმა უთანასწორობამ და ეკონომიურ ნიადაგზე ბრძოლამ ჩვენი მსოფლხედველობა გამოსცვალა; დროსა და პირობების მიხედვით მშრომელი საქართველოს მიზანიც იცვლება. ამ იდეალების განხილვა და მისი განსახორციელებელი საშვალებების გარკვევა მოითხოვს დიდ ყურადღებას და ჩვენც მას ცალკე წერილებში შევეხებით.

პოდპორუჩიკი **იოსავა.**

## ოფიცერთა საკითხი ჯარში.

(გაგძელება) *)

წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ, თუ რა მნიშვნელობა და როლი აქვს ოფიცერს მშვიდობიანობის დროს.

ახლა ჩვენ შევეხებით იმას, თუ რა მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდეს ოფიცერი ომის დროს.

მას შემდეგ რაც გაუმჯობესდა და გაძლიერდა იარაღი, მას შემდეგ, რაც გამოიგონეს მრავალი ტეხნიკური საბრძოლველი საშვალებანი, ომის და ბრძოლის წარმოების მეთოდი შეიცვალა. საველე სამსახურის უკანასკნელი წესდება საბრძოლველ რიგის გასაგრძელებლათ საჭიროთ თვლიდა ბატალიონისთვის — $1/2$ ვერსს, პოლკისთვის — 1 ვერსს, ბრიგადისათვის — 2 ვერსს. დივიზიისათვის — 3 ვერსს და კორპუსისათვის — 5 — 6 ვერსს. მაგრამ ამ უკანასკნელ ხანაში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. საველე სამსახურის რიგიც გაგძელდა. აბა არა მარტო მოგერებითი, არამედ თავდასხმითი მოქმედების დროსაც ბატალიონს უხდება $1 1/2$ — 2 ვერსზე, დივიზიას — 6 — 8 ვერსზე და კორპუსს 15—20 ვერსზე. მოგერებითი ბრძოლის დროს გამაგრებულ პოზიციებზე საბრძოლველ რიგის გაჭიმვა ფრონტზე გადიდდა იმდენათ, რომ თანამედროვე ომამდე ამას ვერც კი დაიჯერებდენ ასე, მაგალითად, ბატალიონს ხშირათ უხდებოდა 4 — 5 ვერსი, პოლკს — 10 — 12 ვერსი, დივიზიას — 20 — 25 და კორპუსს — 35 — 46 ვერსი. და თუ უწინ ჯარს ბრძოლის დროს ხელმძღვანელობდა უფროსი უფროსების საშვალებით, რომელთაც ბრძანებები მოსდიოდათ და მას ასრულებდენ, ეხლა ამგვარი გამგებლობა მიუღებელი გახდა. განა შეუძლია კორპუსის უფროსს, რომლის ჯარიც რამოდენიმე ათეულ ვერსზეა მთელ ფრონტზე გაჭიმული, წარმოიდგინოს თვითეული მებრძოლი ნაწილის მდგომარეობა ისე ცხადად, რომ საერთოდ შექმნილ შთაბეჭდილების მიხედვით მისცეს გარკვეული ბრძანება, რომლის კატეგორიული ასრულება მიაღწევდეს მიზანს ესე იგი დაამარცხებდეს მტერს? აშკარათ უნდა ვთქვათ, რომ ამის შესრულება ერთ პირს არ შეუძლია და რადგან ეს ასეა, უნდა ვიცოდეთ, რომ ერთი საერთო კატეგორიული საბრძოლველ ბრძანების გაცემა — დღეს წარმოუდგენელია. და რაც უნდა ამტკიცონ, რომ დღევანდელ ტეხნიკურ გაუმჯობესების გამო, რომელიც ცნობების გადაცემას და კავშირს აჩქარებს, შესაძლებელია ეს, უნდა გაიგონ, რომ სანამ რომელიმე ბრძანება თავის დანიშნულებას მიაღწევდეს მდგომარეობა შეიძლება სრულობრივ გამოიცვალოს და ნაბრძანების ასრულებას უკვე შეუძლია მოიტანოს დიდი ზარალი. მაშასადამე, ეს პრინციპი ომის მეთოდით უნდა უარვყოთ. უნდა უარვყოთ „კომანდის“ საშვალებით ჯარის გამგებლობა. არა მარტო თანამედროვე ომმა, არამედ წარსული საუკუნის უკანასკნელის ხნის ომებმა ნათლად დაგვიმტკიცა, რომ ბრძოლის დროს ჯარის გამგებლობა უნდა ემყარებოდეს ჯარის უფროსთა მითითებას განსაზღვრულ საბრძოლველ ამოცანისათვის და ამისთვის მათ უნდა ქონდეთ ყველა საჭირო საშვალება. ომის დროს მდგომარეობა შეიძლება ისეთი შეიქნეს, რომ არამც თუ ჯარის უფროსები, არამედ თვით უფროსებსაც დასჭირდეს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება ანუ შეიძლება საჭირო გახდეს მათთვის, თვით ადგილობრივ დაისახონ ასასრულებელი საბრძოლველი ამოცანა, რაც საერთოდ შეთანხმებული იქნება მოქმედების საერთო მიზანთან, რომელიც მიღებული აქვს ჯარის უფროსს. როდესაც საბრძოლველ ამოცანას ღებულობენ, თვითეული უფროსი ანაწილებს მას მის ქვემყოფ უფროსებზე (ანუ სხვანაირათ რომ ვსთვათ: მიუთითებს მთელ რიგ კერძო ამოცანებზე) ანაწილებს ყველა საშვალებებს და პირდაპირ აღარ ერევა შემდეგ მის ხელქვეით უფროსების მიერ ამ მიზნის მისაღწევათ გადადგმულ ნაბიჯებში.

ამგვარი მეთოდის დროს სადღაა უკანასკნელი საფეხური უფროსებისა? გამოცთილება გვიჩვენებს, რომ ასეთი საფეხურია რაზმის უფროსი და ხშირათ ჯგუფის უფროსებიც.

ზემოთქმულიდან ჩვენ დავასკვნით შემდეგს: თვითეულს აფიცერს უნდო შეეძლოს გაიგოს მიცემული საბრძოლველი ამოცანა, შემდეგ მან ყოველმხრივ დაბეჯითებით უნდა გაშინჯოს ყოველი გარემოება, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს საბრძოლველ ამოცანის ასრულების დროს, უნდა დაჰყოს ამოცანა პატარ პატარა ამოცანებათ და გაუნაწილოს იგი თვის ხელქვეით უფროსებს.

ეს ცოტაა. თვითეულ ოფიცერს უნდა შეეძლოს არა მარტო შეასრულოს მიღებული საბრძოლველი ბრძანება, არამედ, როდესაც შეცვლილი მდგომარეობა მოითხოვს, თავისით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და შეასრულოს კიდეც იგი.

თავისით გადაწყვეტილების მიღება კი თხოულობს ომისა და ბრძოლის ელემენტების საფუძვლიანათ ცოდნას. მაგრამ ხშირათ მარტო ეს არ კმარა. შეიძლება ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგებოდეს უფროსის ბრძანებას; ცხადია, ასეთი ნაბიჯის გადადგმა, თავის გადაწყვეტილების მიღება შეუძლია მხოლოდ იმ ოფიცერს, რომელსაც აქვს ძლიერი მოქალაქეობრივი გამბედაობა. როგორ სულიერ ტანჯვას განიცთის ოფიცერი, როცა ხედავს, რომ ზევიდან მოსული ბრძანება არ ეგუება შექმნილ მდგომარეობას, და ის კი არ უნდა შეშინდეს არ უნდა აასრულოს ეს ბრძანება და გადასდგას თავისი საკუთარი ნაბიჯი, რომ ამით საერთო საქმე დაიხსნას. რამდენათ უფრო მაღალ საფეხურზე სდგას უფროსი, იმდენათ უფრო უნდა შეეძლოს დამოუკიდებლათ მოქმედება და თვისი გადაწყვეტილების მიღება, იმდენათ უფრო არ უნდა ეშინოდეს მისი კერძო ინიციატივა გამოიჩინოს. თანამედროვე ომმა ასეთი მეთაურების გამომჩენი ცოტა მოგვცა, და განსაკუთრებით ცოტა უმცროს მეთაურებში, რადგან ისინი სამხედრო საქმეში ნაკლებ იყვნენ

*) იხ. „ჯარი და ერი“ № 3.

მომზადებულნი. მაშ ასე; ომის დროს ოფიცერს მოეთხოვება 1) ფართო სამხედრო განათლება, და უფრო ფართო, რამდენათ იგი მაღალ საფეხურზე სდგას. 2) უნარი სწრაფათ გაერკვიოს და დააფასოს შექმნილი სამხედრო ვითარება, ეს მიიღოს გარკვეული გადაწყვეტილება და მედგრათ გაატაროს იგი, 3) უნარი თავის პასუხისმგებლობით მიიღოს გადაწყვეტილება საჭიროების დროს, ესე იგი გამოიჩინოს კერძო ინიციატივა.

ამას გარდა ოფიცერს უნდა შეეძლოს 1) ბრძოლის კრიტიკულ მდგომარეობის დროს გამოიჩინოს გულადობა რომ ამით თან გაიყოლიოს ხელქვეითნი, იყოს ვაჟკაცი გმირი, 2) უნდა შეეძლოს უსიტყვოთ აიტანოს ყოველგვარი გაჭივრება და უბედურება, ამით მან მაგალითი უნდა უჩვენოს მთელ ჯარს და თვის მიმყოლთ.

აი ის უმთავრესი მოთხოვნილებანი, რომელთაც ოფიცერი უნდა აკმაყოფილებდეს. ვინც ამისთვის არ ვარგა, ის არ გამოდგება არც იმისთვის, რომ უფროსათ იქნეს თუნდ მცირე ერთეულში.

ომის დროს ოფიცრების დანაკლისი ისე დიდია ხოლმე, რომ ხელმძღვანელობა ეძლევათ ახალგაზდებს, რომელიც ეხლახან მოვიდენ მომქმედ ნაწილში და პირდაპირ შკოლის სკამიდან უხდებათ ხოლმე თავში ჩაუდგენ არამც თუ მარტო რაზმს, არამედ თვით ბათალიონსაც კი. ეს გარემეობა მხედველობაში უნდა გვქონდეს, როდესაც ვსწყვეტთ საკითხს ოფიცრის სამხედრო საბრძოლველ მომზადების შესახებ.

**ი—ძე.**

(გაგრძელება იქნება)

---

## ჯარი და სახალხო გვარდია.

ჯერ კიდევ არ განელებულა მითქმა მოთქმა და აურზაური იმის შესახებ, თუ რამდენად დასაშვებია რომელიმე რესპუბლიკაში ერთ და იმავე დროს რეგულიარული ჯარი და სახალხო გვარდია. განსაკუთრებით შფოთავენ ისეთი პირები, რომელთაც არ მოსწონთ რესპუბლიკანური თავისუფლება და საქართველოს დამოუკიდებლობა მოსვენებას არ აძლევს. ესენი უმთასრესად პოლიტიკური მიზნით ხელმძღვანელობენ. ეს ჩვენ არ გვაშფოთებს. ასეთ პირებს შეუძლიათ წარამარა იღრიალონ რომ სახალხო გვარდია და ჯარი ერთ და იმავე სახელმწიფოში არ უნდა იყოსო. კარგათ გვესმის მათი ასეთი მტკიცების ღირებულება. მაგრამ, როცა ამასვე გაიგონებთ ხოლმე ქართველებში, საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველთა შორის, მაშინ ჩვენ აქ საქმე გვაქვს უბრალო გაუგებრობასთან.

შეიარაღებული ძალა ძლიერ სჭირა უაღრესად დემოკრატიულ შვეიცარიასაც, მიუხედავათ თვისი მუდმივი ნეიტრალობისა. დეპეშების გადმოცემით ამ მოკლე ხანში შვეიცარიამ თორმეტი დივიზია დააყენა ფეხზე. ასეთივე მდგომარეობაა დაახლოებით სხვა მრავალ დემოკრატიულ სახელმწიფოშიაც, და, რა გასაკვირალია, შეიარაღებული ძალა უფრო მეტად გვეჭირვებოდეს ჩვენ, რომლებმაც თვისი სახელმწიფოებრივი ცხოვრება მხოლოდ ნახევარი წელიწადია რაც დავიწყეთ. საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა ჩვენ პირდაპირ გვიკარნახებს შევიარაღდეთ და ყოველთვის ფხიზლად ვუდარაჯოთ ჩვენს თავისუფალ სამშობლოს, თუ გვინდა, რომ იგი არ მოისპოს, არ გაისრისოს. მტერი კი ბევრი გვყავს, როგორც გარეთ ისე შინ. რეგულიარული ჯარის ყოლა, ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, მაგრამ დემოკრატიის და თავისუფლების საჭიროებამ მოითხოვა მუდმივ ჯართან ერთად დაგვეარსებია სახალხო გვარდია. სახალხო გვარდიამ ბევრი რამ გააკეთა, მისი სახელი დიდი ასოებით იქნება ჩაწერილი საქართველოს ისტორიაში.

ჩვენი წმინდა ვალია მთელი ჩვენი არსებით ხელი შეუწყოთ ჯარს და გვარდიის შორის კეთილ განწყობილების დამყარებას, მათ შორის მთლიანობის აღდგენას და განმტკიცებას. ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკური მდგომარეობა ისეთია, რომ მისთვის საჭიროა, როგორც რეგულიარული ჯარი, ისე სახალხო გვარდია, და ვინც ამის წინაამღდეგ ილაშქრებს, ის ნებსით თუ უნებლიეთ ძირს უთხრის ჩვენს დამოუკიდებლობას, და თავისუფლებას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებითათ სახალხო გვარდია ჩვენი ჯარის, ჩვენი შეიარაღებული ძალის განუყრელი ნაწილია.

**თ. ჩიქვანაია:**

---

## წერილები სხვა და სხვა ქვეყნის პოლიტიკურ წესწყობილებაზე.

### რესპუბლიკები.

სხვა ადგილას ჩვენ მოკლეთ განვიხილეთ სამი დიდი რესპუბლიკის — სახელდობ საფრანგეთის, ჩრ.-ამერიკის შეერთებული შტატების ან შვეიცარიის კონსტიტუციონური წყობილება (იხ. ახლად გამოცემული წიგნი წერილები სხვა და სხვა ქვეყნის პოლიტიკურ წესწყობილებაზე. რესპუბლიკები).

ახლა სხვა რესპუბლიკების პოლიტკურ წყობილებას შევეხოთ და ბოლოს შვეიცარიის ზოგიერთ კანტონის სახელმწიფოებრივ შენობას ჩაუკვირდეთ ცოტახნით.

მექსიკა ამერიკაშია. იგი წარმომადგენლობითი, ფედერატიულ დემოკრატიული რესპუბიკაა. შესდგება შტატებისაგან, რომელნიც შინაურ ცხოვრებაში თავისუფალი და სუვერენული არიან. მექსიკის კონსტიტუცია ბევრნაირათ გავს ჩრ-ამერიკის შტატების ფედერალურ კონსტიტუციას, რამოდენიმეთ სხვავდება მისგან. იგი წარმომადგენლობით დემოკრატიულ პრინციპზეა აგებული. მონა როგორც

კი დაადგამს ფეხს მექსიკის ტერიტორიაზე, თავისუფალი ხდება და უფლება აქვს კანონის მფარველობა მოითხოვოს.

ეკლესია გამოშორებულია სახელმწიფოსაგან. წოდებრივი პრივილეგიები სამუდამოთ აკრძალულია. აკრძალულია აგრეთვე სარწმუნოებრივი ორდენების დაარსება. სიკვდილით დასჯა პოლიტიკურ დანაშაულობისთვის მოსპობილია. იგი კონსტიტუციით დაშვებულია მხოლოდ ომის დროს სამშობლოს ღალატისათვის, ძარცვა-გლეჯისა და დაწვისთვის.

უზენაესი უფლებამოსილობა, სუვერენიტეტი ეკუთვნის ხალხს, რომელსაც ხელთუპყრია გადაუცემელი უფლება, თუ მოისურვებს, შესცვალოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმა. თუ გახსოვსთ, ამის უფლება აკრძალულია საფრანგეთის კონსტიტუციაში.

მექსიკის რესპუბლიკის პოლიტიკური წყობილება ემორჩილება ეგრეთწოდებულ უფლებათა დაყოფის სისტემას. მაგრამ როგორც ყველგან, სავსებით იგი არც აქ არის გატარებული. უმაღლესი ფედერატიული უფლობა სახიერდება სამად—საკანონდებლო, აღმასრულებელ და სამოსამართლო უფლობად.

კონსტიტუცია აცხადებს, რომ არასოდეს არ შეიძლება ერთი პირის თუ დაწესებულების ხელში იყოს ერთად რამოდენიმე უფლობა და აგრეთვე საკანონმდებლო უფლობა არასოდეს არ შეიძლება გადაეცეს ერთს პირს, ვინც უნდა იყოს იგი.

საკანონმდებლო უფლობა მინდობილი აქვს საკავშირო (ფედერალურ) გენერალურ კონგრესს, რომელიც განიყოფება ორად: დეპუტატების და სენატორების პალატად.

დეპუტატთა პალატას ირჩევს ხალხი ორი წლის ვადით. არჩევნები არა პირდაპირია. ამრჩეველთა მექსიკის ყველა მოქალაქე უნდა იყოს თვრამეტი წლის, თუ მუდმივი ბინადრობა აქვს და ოცდა ერთი წლის, თუ ასეთი მუდმივი ბინადრობა არ აქვს, კონსტიტუციაში ქონებრივი ცენზიც არის აღნიშნული (საარსებო საშუალება), თუმცა ეს იმდენად გაურკვეველი და ბუნდოვანია, რომ სინამდვილეში იმდენ გავლენას ვერ ახდენს და ფაქტიურად არჩევნებს თითქმის საყოველთაო ხასიათი ეძლევა.

ყოველ შემთხვევაში ამ და ამ გვარი შეზღუდვით კონსტიტუციის დემოკრატიული ბუნება იბღალება და უახლოვდება ბურჟუაზიული რესპუბლიკის კონსტიტუციას.

პასიური უფლებისთვის (რომ აირჩეს) საჭიროა 25 წლის ასაკი. შეუძლებელია აირჩეს სასულიერო წოდების პირი. ქალებს საარჩევნო უფლება არ აქვსთ. საინტერესოა, რომ დეპუტატებისთვის ისე როგორც სენატორებისთვის კანდიდატებს ირჩევენ. რამდენი დეპუტატია, იმდენი კანდიდატია.

სენატში ყოველი ავტონომიური შტატი აგზავნის ორ-ორ სენატორს. სენატორები ოთხი წლით ირჩევიან. სენატი ყოველ ორ წელიწადში ახლდება სანახევროდ. პალატები ცალ-ცალკე კანონმდებლობენ. საერთო თანხმობა აუცილებელია. მათი საკანონმდებლო თანასწორობა საერთოდ აღიარებულია. თუმცა თვითეულ მათგანს აქვს ისეთი დამიშნულება, რომელიც არ აქვს მაგ., სენატის უფლება საერთაშორისო ხელშეკრულებათა დამტკიცების და სხ. პალატის უფლება ბიუჯეტის დამტკიცების. პალატები ხანდახან ერთდებიან. გენერალურ კონგრესს ესწრება რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელიც აცნობს მას სახელმწიფოს მდგომარეობას.

კანონთა და დეკრეტთა ინიციატივის უფლება ეკუთვნისთ გენერალურ კონგრესს (პალატას და სენატს), ცალკე შტატების საკანონმდებლო კრებებს და რესპუბლიკის პრეზიდენტს. გენერალური კონგრესი და ფედერალური მთავრობა სწყვეტს და უძღვება საერთაშორისო და ტერიტორიალურ საკითხებს, ახალი შტატის მიღების საქმეს, ომსა და ზავს, ჯარს, საბაჟოს, ფულის სისტემას, ფოსტას, მოქალაქეობის და ნატურალიზაციის საკითხს, კოლონიზაციას და სხ. რაც არ ეკუთვნის ფედერაციის უფლებას, შედის ცალკე შტატების კომპეტენციაში.

გენერალურ კონგრესის სესიებს შუა მოქმედებს მუდმივი კომისია, შემდგარი 29 წევრისაგან (15 დეპუტატი და 14 სენატორი), რომელიც მახლობელ საკანონმდებლო კრებამდე ხელმძღვანელობს კონგრესის მაგიერ ზოგიერთ სასწრაფო და გადაუდებელ საქმეს.

ვ. ს.—ძე

(დასასრული იქნება)

## სანაინის გარშემო.

სამხედრო მინისტრმა ბ-მა გრ. გიორგაძემ სანაინის შესახებ შემდეგი განაცხადა პარლამენტის 13 დეკემბრის სხდომაზე:

9 დეკემბერს მივიღეთ ცნობები, რომ სანაინთან ჩვენს რაზმს თავს დასხმია ადგილობრივი სომეხი მცხოვრებლები და სროლა აუტეხიათ. ამ სროლის დროს დაუჭრიათ ერთი ჯარისკაცი, რომელიც მეორე დღესვე გარდაცვლილა. შემდეგ სომეხთა რაზმები (როგორც გამოირკვა შემდეგ, ნასალდათევი ხალხი) თავს დასხმია ჩვენს სადარაჯო რაზმს და 15 ჯარისკაცი მოუკლავთ, ხოლო 15 დაუჭრიათ. მდგომარეობის გამოსარკვევად გავგზავნეთ დელეგაცია.

გამოირკვა, რომ თავდამსხმელები არიან სომხის რეგულიარული ჯარის ნაწილები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ პოლკოვნიკები და ოფიცრები. მათ კარაკლისს, უზურალას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვორონცოვკას შორის აქვთ ტელეფონით კავშირი და სრული სამხედრო თანხმობა. ამ მიდამოებში არის შტაბები-რომლებიც სამხედრო მოქმედებას ხელმძღვანელობენ. ჩვენ გვაქვს აგრეთვე დეპეშა, რომელიც ერთი ადგილიდან გაუგზავნია სომხის ჯარის ნაწილს მეორე ნაწილისათვის, რომ, ლითაც სთხოვს მეორე ნაწილს აცნობოს საქართველოს ომი გამოუცხადეთ თუ არაო, ჩვენ მზათა ვართო. დღეს დილით ცნობა მოვიდა, რომ ვორონცოვკასთან ისინი თავს დაესხენ ჩვენ რაზმს. სანაინის მიმართულებით გზა გააფუჭეს.

## საქართველოს დამოუკიდებლობა.

1 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ზეიმით იდღესასწაულა საქართველოს დამოუკიდებლობის ექვსი თვის შესრულება. მთელი პარლამენტი, მთავრობა და საზოგადოება ერთი ფიქრით და ერთი გრძნობით იყო და არის გამსჭვალული: ესაა დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვა და პატრონობა. მთელი ქართული პრესა აღფრთოვანებით შეხვდა ამ დიად სადღესასწაულო დღეს. ქართველმა ხალხმა და მისმა მთავრობამ ერთხმათ გადასძახეს მთელ ქვეყნიერებას, რომ ისინი იცავენ საქართველოს დამოუკიდებლობას და დაიცავენ ყოველთვის. საქართველოს დამოუკიდებლობა, დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცება—გამაგრება—ასეთი არის ყველას მისწრაფება. როგორ შეხვდენ ამ დღეს რუსული გაზეთები? რა გვითხრეს და რა დაგვიწუნეს მათ?

გაზეთი „ბორბა“ სიხარულით აღნიშნავს საქართველოს დამოუკიდებლობის საზეიმო დღეს და სწერს: „ნახევარი წელი დაუღგრომელი მუშაობისა.. პროლეტარიატის და მასთან ერთად მოს ;არულე გლეხობის ხელით, პაწაწინა ხალხის დემოკრატიული ძალებით შენდებოდა დემოკრატიული სახელმწიფო. ქვას ქვაზე, აგურს აგურზე აღებდა თავის რესპუბლიკის შენობისათვის საქართველოს დემოკრატია. საერთაშორისო ქარტეხილის ნგრევა—რღვევის დროს, როდესაც გვესმოდა სიძულვილის ხმები, როდესაც ცილისწამების სისინი მოისმოდა ყოველ მხრიდან, ეს მძიმე და ძნელი მუშაობა სწარმოებდა... ნახევარი წლის საქართველოს დამოუკიდებ ;ლ რესპუბლიკის არსებობის შემდეგ დამოუკიდელობა ხალხისათვის გადაიქცა თავისუფლების ნიშნათ, ნიშნათ თავის დახსნისა და გადარჩენისა მონარქიისაგან, ძალადობისაგან, ცარცვა გლეჯისა და დალუპვისაგან, და ამიტომაც ძლიერათ, დაუშლელათ დაეჭდო ხალხის გულს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე“.

გაზეთ „კავკაზსკოე სლოვო“-ს ექვსი თვე მცირე დროთ მიაჩნია სახელმწიფოს აშენებისთვის, მაგრამ მაინც ამბობს, რომ „არსად რუსეთის ყოფილ საზღვრებში არ დამყარებულა ისეთი მტკიცე დემოკრატიული წესწყობილება, როგორც საქართველოში. არც ერთ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში, რომელიც წარმოიშვა იმპერიის ნანგრევებზე, არ შენახულა რევოლიუციის იმდენი მონაპოვარი, როგორც საქართველოში; არსად ისე არაა უზრუნველყოფილი, რასაკვირველია შედარებით, მოქალაქის პიროვნება მისი მოქალაქეობრივი, პოლიტიკური, ქონებრივი უფლებანი არსად ისე დაცული არ არის ანარქიისაგან და საზოგადოების მოწინააღმდეგე ელემენტებისაგან, როგორც საქართველოში. საქართველოს მთავრობამ შეინახა არა მარტო ქვეყნის ფიზიკური და მის მცხოვრებთა არ ებობა, არამედ მტკიცე სამოქალაქო და პოლიტიკური წყობილება“.

დანარჩენი გაზეთებიც, თითქმის ერთხმათ აღნიშნავენ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ფაქტი მეტათ დირს მნიშვნელოვანია.

## საქართველოს პარლამენტის სამხედრო კომისიაში.

წარსულსა და მიმდინარე თვის განმავლობაში კომისიაში შემოვიდა სამხედრო სამინისტროს მიერ შემუშავებული შემდეგი კანონ-პროექტები:

1) კანონ-პროექტი—საგანგებო სამხედრო სასამართლოს დაარსების შესახებ.

ეს კანონ-პროექტი კომისიამ უკვე განიხილა და მცირე შესწორებების შემდეგ მიიღო კიდეც. დღეს კანონ-პროექტი გადაცემულია იურიდიულ კომისიაში—იმის განსახილველად თუ რამდენათ გასაგები და მარტივია კანონ-პროექტის შინაარსი იურიდიული ტერმინალოგიის მხრით. იურიდიულ კომისიიდან დაბრუნებისთანავე კანონ-პროექტი გადაეცემა პრეზიდიუმს პარლამენტში შესატანად.

2) კანონ-პროექტი—ზოგიერთა სამხედრო დანაშაულთათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

ეს კანონ-პროექტი მიმართულია ზოგიერთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, რომელნიც ამ კანონით უფრო სასტიკათ იქნებიან დასჯილნი, ვიდრე ყოფილი კანონებით ისჯებოდნენ.

3) კანონ-პროექტი—სამხედრო უწყების შტატების შესახებ.

კანონ-პროექტი შეეხება სხვა და სხვა ჯარის ნაწილების ცენტრალურ დაწესებულებათა შემადგენლობას და ჯამაგირებს. კანონ-პროექტს აზრად აქვს ძველი შტატების შემცირება და ჯამაგირების გაერთგვარება. ძველი წესით ჯამაგირი დანაწილებული იყო რამოდენიმე ჯამად: იყო ძირითადი ჯამაგირი, ხასადილო, მოსამსახურისათვის და სხ. აღნიშნულ კანონ-პროექტის მიხედვით, ჯამაგირი უნდა იყოს ერთი—მისი დანაწილება მხოლოდ საქმეს ართულებს და არსებითად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოთვლილ კანონ-პროექტის გარდა სამხედრო კომისიამ მიიღო სამინისტროსაგან ორი წესდება: სადისციპლინო და საპენსიო.

კომისია უკვე შეუდგა საპენსიო წესდების განხილვას.

# პრესა.

სახალხო გვარდიის დღე ბრწყინვალეთ ჩატარდა, რამაც მთელი პრესა აალაპარაკა; ,,ერთობა‘‘ სწერს:

> ის კულტურა და სამხედრო ხიმაღლე, რომელზედაც ავიდა სახალხო გვარდია ერთის წლის განმავლობაში, ისე თვალსაჩინოა, რომ გვარდიის დაუძინებელმა მტრებმაც კი თავი დახარეს მის წინაშე და ისინი, ვინც გუშინ ზიზღით და აღშფოთებით იხსენიებდნენ გვარდიას, დღეს იძულებულნი არიან სალამი უძღვნას მას, სახალხოთ აღიარონ მისი ღირსებანი და მისი ღვაწლი. ნაციონალ-დემოკრატები მზათ არიან შეადარონ ,,სახალხო გვარდიის‘‘ ღვაწლი იმ 300 ხევსურთა სიგმირეს, რომელთაც კრწანისის ველზე დასდეს თავი სამშობლოს დასახსნელათ ბრძოლაში.

,,სახალხო ფურცელი‘‘:

> კავკასიის ფრონტიდანაც მოიხსნა რუსის ჯარი, რომელიც სავსებით ბალშევიზმის გავლენის ქვეშ მოიქცა და რომელიც განადგურებას, დედამიწის პირიდან აღგვას უქადდა ჩვენს ქვეყანას. მაგრამ წითელი გვარდია, რომლის ორგანიზაციულად მოწყობა ჯერ კიდევ სავსებით არ იყო დასრულებული, მედგრად წინაღუდგა ჩვენი ქვეყნის გამანადგურებელ ძალას და მიუხედავად რიცხვითი სიმცირისა, ის გამარჯვებული გამოვიდა ამ ბრძოლიდან...
>
> აქედან იწყება გვარდიის გაუწყვეტელი ბრძოლა, როგორც შინ, ისე გარედ, როგორც რუსის ბოლშევიკების ისე ჩვენივე გზააბნეულ შვილების წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში გვარდიამ დაამტკიცა როგორც დაუზოგველი თავდადება რევოლიუციისათვის, ისე უსაზღვრო სამშობლოს სიყვარული.

მართლაც სახალხო გვარდიის თავგანწირულმა ბრძოლამ იხსნა ჩვენი ქვეყანა ბალშევიკურ განადგურებისაგან, ქართველი ერი არასოდეს არ დაივიწყებს ამ რევოლიუციონურ გმირებს.

# ქრონიკა.

12 დეკემბერს ბაქოდან ტფილისში ჩამოვიდა ინგლის-ამერიკის 12 კაცისაგან შემდგარი მისია. მისია დაესწრო სახალხო გვარდიის, —12 დეკემბრის დღესასწაულს. პარადის გათავების შემდეგ მისიამ ინახულა გარეშე საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი.

მინისტრთან საუბრის დროს მისიამ გამოსთქვა დიდი აღტაცება და კმაყოფილება იმ სახელმწიფოებრივი წესრიგის გამო, რომელიც მეფობს მთელ საქართველოში და რომლის მოწამე თვითონ იყო მისია ტფილისში 12—დეკემბერს. გვარდიის დღემ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მისიაზე.

მისიის ერთმა წევრმა განუცხადა ე. პ. გეგეჭკორს, რომ ის რაც მან იხილა 12—დეკემბერს ტფილისის ქუჩებზე, სიზმარი ეგონა. მისიის წევრებმა იმედი გამოსთქვეს, რომ მათი მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის მდგომარეობის შესახებ სახელმწიფოთა საზოგადოებრივ აზროვნებაში დიდ სიმპატიას აღძრავს საქართველოსადმი. გარდა ამისა მისიამ სთქვა, რომ ის პრეზიდენტ ვილსონს გადასცემს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კეთილ სურვილებს.

—

სად. სანაინთან ჩვენს ჯარს ,,ბანდები‘‘ თავს ესხმიან ს. უზუმლიარში შეტაკების დროს მძიმეთ დაიჭრა ტყვიისმფრქვეველის მსროლელი მეფარიშვილი, მსუბუქათ—ხუნდაძე. 9 დეკემბერს მომხდარი შეტაკების დროს ჩვენი ჯარის მხრით მოკლულია 5, მძიმეთ დაჭრილი 1, მსუბუქათ—6, მათ შორის პორუჩიკი შუბლაძე, უგზო-უკვლოდ დაიკარგა 2.

—

ტფილისის ჯავშნოსან მატარებლის შტაბმა ს. სანაინიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: 9 დეკემბერს დილის 8 საათზე რაზმი გაემგზავრა სოფ, ,,უზუმლიარში‘‘ და თან წაიყვანეს ტყვიისმფრქვეველთა რაზმი. როდესაც ჩვენები დაუახლოვდნენ კლდის ძირს, მთაზე ჩასაფრებულმა სომხებმა მათ აუტეხეს სროლა, რის შემდეგ ჩვენც უპასუხეთ, ჯავშნოსან მატარებლიდან არტილერიით და ტყვიისმფრქვეველებით, საღამოს 8 საათამდე განუწვეტელი სროლა იყო. ჩვენებმა მთაზე ასვლა ვერ მოახერხეს და უკან დაიხიეს. მთიდგან მოპირდაპირეები აგორებდნენ ქვებს, რომლითაც სადგურში დაამტვრიეს 3 ვაგონი ყუმბარებით დატვირთული, რომლებიც ეკუთვნოდა ოსმალეთს. მეორე ჯავშნოსანმა უნდა იაროს სად. აერუმიდან სად. სანაინამდის.

—

სანაინთან ჩვენს მოსაზღვრე ჯარს თავს დახხმია სომხის ჯარის რეგულიარული ნაწილები, რომლებიც დაბანაკებულნი არიან კარაკლის ვორონცოვკას მიდამოებში. ჩვენს ჯარს მოუკლეს 15 და დაუჭრეს 14 კაცი.

—

სომეხთა ეროვნულმა საბჭომ სანაინის ინციდენტის შესახებ ერზეკიანის მოხსენების შემდეგ დაადგინა: რადგანაც საქართველოს მთავრობა უგზავნის სანაინში დელეგაციას შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ბ. მახარაძის ხელმძღვანელობით, გაიგზავნოს იქვე ეროვნული საბჭოს სახელით. დელეგაციის მიზანს უნდა შეადგენდეს: ინციდენტის ადგილობრივ გაცნობა და მისი მორიგება; რეალური ზომების მიღება საქართველოს და სომხეთის შორის სასაზღვრო უთანხმოების საბოლოვო მოსასპობათ.

—

სოჩის გლეხთა საოლქო ყრილობა კადეტების გამოსვლას ალექსეევის ორიენტაციით უარყოფით შეხვდა.

—

7 დეკემბერს დაიმსხვრა სად. წიფიდან გასული ბაქოდან მომავალი ოსმალთა სასანიტარო მატარებელი. მოკლულია 120 კაცი, დაშავებულია—130.

—

საქართველოს წინააღმდეგ აგიტაციამ ყუბანსა და დონის ოლქებში უკანასკნელ დღეებში ფართო ხასიათი მიიღო.

—

საქართველოში, შავი ზღვის ნაპირად მდებარე ქალაქებში, გენ. დენიკინის აგენტები მხნედ მუშაობენ—ავრცელებენ პროკლამაციებს, ეწევიან სიტყვიერ აგიტაციას და ადგილებსაც ზვერავენ.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში მყოფი გერმანიის ჯარის უკანასკნელი ეშელონი ფოთიდან გავიდა 13 დეკემბერს.

—

საერთაშორისო საზავო კონგრესის თავმჯდომარეთ ვერსალში იქნება ვილსონი.

—

მოკავშირეთა კონფერენცია დროებით ზავის საბოლოვოდ ჩამოსაგდებად გაიხსნება პარიზს დეკემბრის 16-ს.

—

ბონარ-ლოუს სიტყვით, უნდა შედგეს კომისია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი უნდა გადაახდევინონ გერმანიას.

—

ბერლინში ,,სპარტაკის'' ჯგუფის მეთაურობით მოხდა შეიარაღებული გამოსვლა ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ. ებერტის მთავრობამ აჯანყება იარაღით ჩააქრო.

—

,,სპარტაკის'' ჯგუფის გამოსვლის შემდეგ გერმანიაში წესრიგი არ დარღვეულა. ბავარია, ვიურტენბერგი, ბადენი და რეინის პროვინციების ნაწილი იმ აზრისა არიან, რომ თუ ბერლინში უწესოება გაგრძელდა, ისინი დამოუკიდებლათ საკუთარ დამფუძნებელ კრებებს მოიწვევენ.

—

სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ გერმანიაში შიმშილობა არაა.

—

ინგლისსა და ამერიკას შორის მოლაპარაკება სწარმოებს იმის შესახებ, რომ მათ ზღვებზე ერთნაირი ძალა ჰყავდეთ.

—

ჩერჩილის აზრით, ინგლისმა ჰელ-ჰოლანდი არ უნდა მოითხოვოს.

—

ინგლისში რკინის გზების ნაციონალიზაცია გამოცხადდა.

—

ინგლისელებს უფლება აქვთ გადავიდენ რეინის მარჯვენა ნაპირად 30 კილომეტრით და იქ დაიკავონ ციხე-სიმაგრეები. შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარების ყოფა-ქცევით გერმანიის მცხოვრებნი უკმაყოფილონი არიან.

—

გერმანული პრესის ცნობით, მოკავშირენი არავითარ ანგარიშს არ უწევენ ვილსონის საზავო პროგრამას. ამ პროგრამიდან არც ერთი მუხლი არ განხორციელებულა ისე, რომ შიგ გერმანიის ხაზარალო ცვლილებანი არ შეეტანოთ.

—

ინგლისის იურისტები ამტკიცებენ, რომ ნეიტრალურ ბელგიაში შეჭრა ვილჰელმს დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს და პასუხისგებაში იქნეს მიცემული.

—

ოსმალეთმა სამხედრო გემები შავ ზღვაზე მოკავშირეთ გადასცა.

—

მოკავშირეთა ჯარები გერმანიის ტერიტორიაზე, რეინისკენ წინ სვლას განაგრძობენ.

—

ესტონეთის მთავრობის თხოვნით ინგლისის ფლოტმა დაიკავა რეველი, რათა აქედან წინაალმდეგობა გაუწიოს ბალშევიკებს.

—

უკრაინაში გეტმანისა და პეტლიურას ჯარებს შორის ბრძოლა გრძელდება.

—

უკრაინაში პეტლიურასი და გეტმანის მომხრეთა შორის ბრძოლა სასტიკი ხასიათისაა. მთელიან ბრძოლაში მოკავშირეთა ჯარების ჩარევას და ადესის, ხარკოვის და კიევის ოკუპაციას. მოკავშირეთა ჯარები სად. ჟმერინკისა და ფასტოვისკენ მოიწევენ.

—

გენ. დენიკინის მოწინავე რაზმები უკრაინაში გეტმანის ჯარს შეუერთდა.

—

უკრაინაში, სად. შოსტკასთან პეტლიურას ჯარმა დაამარცხა გეტმანის მომხრენი. ბალშევიკები პეტლიურას საწინააღმდეგო რაზმებს ადგენენ.

—

მოკავშირენი აცხადებენ, რომ უკრაინაში ისინი მხარს უჭერენ გეტმანის მთავრობას და გადაწყვეტილი აქვთ რუსეთის ტერიტორიის ბალშევიზმისაგან გაწმედა შეიარაღებულის ძალით და წესრიგის დამყარება.

—

ერევნიდან მიღებული ცნობით იქ მოუკლავთ სომხეთის პარლამენტის წევრი ამხ. ჰაიკ აზატიანი.

—

## ხალხის მადლობა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა თავის რწმუნებულის, პარლამანტის წევრის, ანდრონიკაშვილისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო თელავიდან: „ყაჩაღთა და მათ აგენტების შეპყრობის საქმე ჩინებულად მიმდინარეობს უმსხვერპლოთ ჩვენის მხრით. ყველგან თანაგრძნობას გვიცხადებს ხალხი მათ შეპყრობისათვის. გლეხებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, რომ თავიდან მოიშორეს მათი გამანადგურებელნი. თელავის მოქალაქენი მართავენ კრებებს, რომელზედაც გამოაქვთ დადგენილებანი მთავრობის ამნაირ ნაბიჯების მოწონების შესახებ და აგრეთვე პირობა, რომ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ მთავრობას

სამხედრო სამინისტროს სტამბა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 1 მ. 50 კ.